ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 ივნისი 2006 №144 (2766) ფასი 50 თეთრი


# მოსაწყენი პიკნიკი შტუტგარტში, ომი ნიურნბერგში

## ინგლისმა ნამეტანი წაუსვენა



## პორტუგალიამ ჰოლანდია ატირა







დიდი ფილის 11 დიდი ნაბიჯი



# ზათქი

## გერმანია არგენტინას დაეჯახა





## გაბრიელა საბატინი: ყველა ჩემს ჯილდოს ფინალში არგენტინის ერთი გოლისთვის დავთმობდი

# EXCLUSIVE



ბაჩო სვანიძის ექსკლუზიური ინტერვიუ გაბრიელა საბატინისთან

იხილეთ მე-14 გვერდზე

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მერვედფინალი

### პორტუგალია 1:0 ჰოლანდია

№52. 25 ივნისი. 23.00. ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი". 41 000 მაყურებელი

1:0 მანიშე (23)

1 რიკარდუ

მწვრთნელი
ლუიშ ფელიპე
სკოლარი

13 მიგელი · 5 ფ. მეირა · 16 რ. კარვალიუ · 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია · 18 მანიშე

20 დეკუ · 7 ფიგუ · 17 კ. რონალდუ

9 პაულეტა

7 კეიტი

11 რობენი · 17 ვან პერსი

20 სნეიდერი · 8 კოკუ · 18 ვან ბომელი

5 ვან ბრონკჰორსტი · 4 მატიისენი · 13 ოიერი · 3 ბულარუზი

მწვრთნელი
მარკო ვან ბასტენი

1 ვან დერ სარი

შეცვლა: რონალდუ – 11. სიმაო (34), პაულეტა – 8. პეტიტი (46), მატიისენი – 10. ვან დერ ვაარტი (56), ვან ბომელი – 14. ჰეიტინგა (67), კოკუ – 19. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (84), ფიგუ – 19. ტიაგუ (84)

გაფრთხილება: ვან ბომელი (2), ბულარუზი (7), მანიშე (20), კოშტინია (31), კოშტინია (45), პეტიტი (50), ვან ბრონკჰორსტი (59), ფიგუ (60), ბულარუზი (63), დეკუ (73), სნეიდერი (73), ვან დერ ვაარტი (74), ნუნუ ვალენტე (76), რიკარდუ (76), დეკუ (78), ვან ბრონკჰორსტი (90)

გაძევება: კოშტინია (45), ბულარუზი (63), დეკუ (78), ვან ბრონკჰორსტი (90)

მსაჯები: ვალენტინ ივანოვი;
ნიკოლაი გოლუბევი, ევგენი ვოლნინი (რუსეთი)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 20 |
| 6 | კარში დარტყმა | 9 |
| 4 | თამაშგარე | 2 |
| 38 | ბურთის ფლობა პროცენტულად | 62 |



# აბორდაჟი

## დიდი ზღვაოსნების ომი ხმელეთზე ფოსტალიონ ივანოვის ბარათებში



**წითელ-ყვითელი** ბარათების რეკორდი წუხელ „გაუმჯობესდა". ვალენტინ ივანოვმა ჯიბეზე ხელი ოცჯერ გაიკრა. აქამდე რეკორდი 18 ბარათი იყო — 2002 წელს გერმანია — კამერუნის მატჩში სწორედ ამდენჯერ ჩაიყო ჯიბეში ხელი მსაჯმა. მაშინ 16 გააფრთხილეს და ორი გააძევეს, ამჯერად კი 16 გააფრთხილეს და ოთხი გააძევეს.

„სამი წელია, პორტუგალიას ვწვრთნი და ასეთი რამ არ მინახავს — თქვა სკოლარიმ — ფიფა სულ ფეარ პლეიზე საუბრობს. მაგრამ დღეს მე სამართლიანი თამაში ვერ ვნახე".

ბარათზე, რომელიც ვალენტინ ივანოვს ჯიბეში ედო, ერთი არაჩვეულებრივი მატჩი დაეტია. ჯერჯერობით ამ შეხვედრასთან ვერც ერთი მივა სიჭრელით, ჩხუბით, ნერვთაწყვეტით და გახშირებული გულისცემით.

სკოლარის ცოტა დააკლდა მოედანზე შესვლამდე. ხელები გრიხა, გრიხა და ისე დაგრიხა, რომ ჯერ ათი, მერე კი ცხრა კაცითაც ტოლი არ დაუდო ჰოლანდიას. მარკო ვან ბასტენი კი კოლეგის ფონზე გარეგნულად ისეთ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, თითქოს „მაასტრიხტ"-„დორდრეხტის" თამაშს უყურებდა.

მომენტები? იცოცხლე გაგიხარია! მეკარეების კარგი თამაში? ესეც იყო. ჩხუბი? გემოვნებით: ერთიერთზე თუ ჯგუფური. სათადარიგოებისა თუ მწვრთნელების ჩარევით. გოლი? მანიშეს ნახევარი კვადრატული მეტრი ეყო ორი მცველის გასაბითურებლად და გასატანად.

ამ მატჩმა დაიტია ყველაფერი, რაც ქომაგს ხელ-ფეხს გააქნევინებს და სკამიდან წამოახტუნებს.

ვალენტინ ივანოვს რომ „გაუხარდებოდა", სწორედ ისეთი თამაში გამოვიდა. კაცმა ზიდანს აჩვენა ყვითელი ბარათი და აქ ხომ გაილაღა და გაილაღა. ოღონდ, ამ შემთხვევაში რუსს თამაში არ წაუხდენია. თავად ფეხბურთელები იყვნენ მარცხენა ფეხზე ამდგარნი. თან მერვედფინალური მატჩის დღეს...

ფეხბურთელთა დაცხრობას იმანაც არ უშველა, რომ ივანოვმა მეორე წუთზევე იტაცა ჯიბეზე ხელი და მარკ ვან ბომელი „გააყვითლა". ამით თავიდანვე მოინდომა მოთამაშეთა დაშოშმინება, მაგრამ ბიჭებს ერთმანეთის მტვრევა არ ეზარებოდათ და არც მსაჯს დაზარებია წარამარა ჯიბეში ხელის ჩაყოფა. საბოლოოდ კი ის გამოვიდა, რომ ყვითელი ბარათი ძალიან, წითელი კი ცოტათი გაცვდა.

ესეც მერვედფინალი იყო და ინგლის — ეკვადორიც?!

პირველად კი პორტუგალიელი კოშტინია „აიჭრა". რად უნდოდა ცენტრში ბურთს ხელით რომ აჩერებდა?! ჯერ კიდევ მანამდე დაინდო ივანოვმა, რომ არ გააძევა, ხელით თამაშს კი აღარ წაუყრუა.

რა თქმა უნდა, მერვედფინალში კაცმეტობა დიდი უპირატესობაა, მაგრამ ჰოლანდიელებმა ვერ გამოიყენეს შანსი. რაც უნდა უცნაური იყოს, ფორვარდებით ყოველთვის მდიდარ „ნარინჯისფერებს" ამ ჩემპიონატზე მეგოლე აკლდათ. ვერც დირკ კუიტმა ივარგა და ვერც ვან ნისტელროოიმ ჯგუფის იმ სამ მატჩში, სადაც ძირითად შემადგენლობაში იყო.

და განა, პორტუგალიას ჰყავს სუპერფორვარდი? არა, მაგრამ ჰყავს სკოლარი. ჰოლანდიას კი ამ ჩემპიონატზე შეტევაში თუ ვინმე აკლდა, ეს მარკო ვან ბასტენია. გადამწყვეტი ამ მატჩში მწვრთნელების ტაქტიკური თამაში იყო და ეს თამაში უფრო გამოცდილმა მოიგო. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ შვიდი ხომ მსოფლიოს წინა ჩემპიონატზე მოიგო და ოთხიც ახლა მიაყოლა — ესეც თერთმეტი.

პორტუგალია — ინგლისი — სვენ გორან ერიკსონი მეოთხედფინალში უკვე მესამედ წარდგება „დიდი ფილის" წინააღმდეგ. ჯერჯერობით შვედი აგებს: 2002-ში მეოთხედფინალში გადაეყარა ბრაზილიას და დამარცხდა; ევრო 2004-ზე გადაეყარა სკოლარის პორტუგალიას და იქაც დამარცხდა. რა მოხდება 2006-ში? პარასკევს ვნახავთ...

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბექემი შვედი კაცისთვის საშიშია



**მამაკაცის** დეზოდორანტი „გოლდენ ბოლსი“, რომლის წარმოებაც დევიდ ბექემს ეკუთვნის, შვედეთში ნამდვილად აღარ გასაღდება. საქმე ის გახლავთ, რომ ინგერ სედერბერგმა, შვედეთში ქიმიური პროდუქტების გამოკვლევის ცენტრის წარმომადგენელმა, ტელევიზიით განაცხადა, ბექემის დეზოდორანტი ჯანმრთელობისთვის სახიფათოა და პირველ რიგში მამაკაცთა იმპოტენციას და გამრავლების უნარის დაკარგვას იწვევსო. „პარფიუმერიის პროდუქტი, რომელსაც დევიდ ბექემი აფინანსებს, მამაკაცთათვის ზიანის მომტანია. „გოლდენ ბოლსის“ სისტემატური მოხმარება უშვილობას და იმპოტენციას იწვევს“ — აღნიშნა ფრაუ სედერბერგმა.

ბექემის ყოვლისმომცველ ბიზნესს შვედთა გაფრთხილება დიდა ვერ დასწევს უკან. თავად ინგლისელმა ჟურნალისტებთან ბრაზიანად განაცხადა, ეგ ყველაფერი ტყუილია და არაკეთილმოსურნეები მიგონებენო...

**ლადო ხომერიკი**


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge



ნუ გამოტოვებთ გადამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა და ლაი-ლაის აბონენტთათვის.

GEO ჯეო გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

FIFA WORLD CUP
GERMANY
2006

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის
ერთგულია ჯეოსელის

www.geocell.ge

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## მერვედფინალი

### ინგლისი 1:0 ეკვადორი

№51. 25 ივნისი. 19.00. შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ შტადიონი". 52 000 მაყურებელი

1:0 ბექემი (60)

1 რობინსონი

მწვრთნელი
სვენ გორან ერიკსონი

16 ჰარგრივსი 5 ფერდინანდი 6 ტერი 3 ე. კოული

18 კარიკი

7 ბექემი 11 ჯ. კოული

4 ჯერარდი 8 ლამპარდი

9 რუნი

21 კ. ტენორიო 11 დელგადო

16 ვალენსია 8 ე. მენდესი

14 კასტილიო 20 ე. ტენორიო

18 რეასკო 17 ესპინოზა 3 ურტადო 4 დე ლა კრუზი

მწვრთნელი
ლუის სუარესი

12 მორა

შეცვლა: ე. ტენორიო – 7. ლარა (69), კ. ტენორიო – 10. კავიედესი (72), ჯ. კოული – 15. კარაგერი (77), ბექემი – 19. ლენონი (87), ჯერარდი – 20. დაუნინგი (90)

გაფრთხილება: ტერი (18), ვალენსია (24), კ. ტენორიო (37), დე ლა კრუზი (67), რობინსონი (78), კარაგერი (82)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეეკერი; პეტერ ჰერმანსი, ვალტერ ვრომანსი (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 24 |
| 5 | კუთხური | 7 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 6 |
| 49 | ბურთის ფლობა პროცენტულად | 51 |

# გოლი მესიჯით

## სვენი გასვენების მიჯნაზე





AFP

**ინგლისი** მეოთხედფინალშია. გუნდმა, რომელმაც ჩატარებულ ოთხ შეხვედრაში ნახევარი საათი თუ ითამაშა ნაღდი ფეხბურთი, ჯგუფშიც პირველი ადგილი დაიკავა, მერვედფინალიც უპრობლემოდ გაიარა და იქნებ უფრო წინ წასვლაც მოახერხოს. თუმცაღა ასე, ამ ჯერზეც ვიტყვით და, სვენებსვენებითა და ბურთის გორაობით ამის გაკეთება შეუძლებელი იქნება.

ის ფეხბურთი, რაც გუშინ ეკვადორის ხელშეწყობით ინგლისმა ითამაშა, არანაირ სქემაში არ ჯდება და არანაირ სტილს არ მიეკუთვნება. ბრიტანულ ყაიდაზე ითამაშესო, ამას ხომ ვერ ვიტყვით და, ვერც სხვა რომელიმე სტილსა თუ მიმდინარეობას მივაკუთვნებთ.

ეს იყო მკვდარი, დამყაყებული ფეხბურთი სადღაც ძალიან, ძალიან ძველი წარსულიდან. ეს იყო თამაში, რომელშიც რევოლუციური სიტუაციის ცნობილი განმარტების პერიფრაზირებას თუ მოვახდენთ, ერთ მხარეს, ანუ ინგლისს არ სურდა წინ წასვლა და შეტევითი ოპერაციების წარმოება, ხოლო მეორეს, ანუ ეკვადორს, ამის გაკეთების თავი უბრალოდ არ ჰქონდა. არადა, მატჩის დებიუტშივე ჯონ ტერის შეცდომის შემდეგ კარლოს ტენორიო პოლ რობინსონთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ეკვადორელმა ცოტა დაახანა, თანაც საიდანღაც ეშლი კოული გამოხტა და ამ უკანასკნელის ფეხიდან ასხლეტილი ბურთი ხარიხას მოხვდა. ეს იყო და ეს. მეტი ეკვადორელებს, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებიათ. თამაში კი კვლავაც დუნედ, მონოტონურად გაგრძელდა. ფეხბურთელები დასიცხულებივით დაიზლაზნებოდნენ, უფრო ხშირად კი ერთ ადგილზე იდგნენ და ამის ყურება ნამდვილად ძნელი იყო.

გეგმა **A**, გეგმა **B**, რუნის გარეშე, რუნისთან ერთად, კრაუჩით, ოუენით, წინ ჯერარდით — ჩემპიონატის დაწყებამდე სვენ გორან ერიკსონი ათასგვარ ტაქტიკურ ვარიანტებსა და სათამაშო სქემებზე ლაპარკობდა, მაგრამ ამ ინგლისს, ერიკსონის ინგლისს, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე, ტაქტიკური განსწავლულობისა არაფერი ეტყობა. გუშინ სვენმა საერთოდ გაგვაოცა, მოედანზე ერთბაშად ექვსი ნომინალური ნახევარმცველი გამოიყვანა. ამათგან ოუენ ჰარგრივზმა მარჯვენა მცველის პოზიცია დაიკავა (გარი ნევილი ჯანზე ვერ არის, ხოლო ჯიმი კარაგერს ერიკსონმა რატომღაც ბაიერნელი ამჯობინა), მაიკლ კარიკი საყრდენად იყო გამწესებული და, შესაბამისად, სტივ ჯერარდმა და ფრენკ ლამპარდმა ვითომ წინ წაიწიეს, ხოლო დევიდ ბექემსა და ჯო კოულს, სავარაუდოდ, ალბათ ფლანგებიდან უნდა შეეტიათ და ბურთებით მოემარაგებინათ წინ ეულად მყოფი უეინ რუნი და ჯერარდ-ლამპარდის წყვილი, რომელსაც, წესით, რუნისთვის ზურგი უნდა გაემაგრებინა. ეს ყველაფერი თავდაპირველი განლაგებით ჩანდა ასე და რეალურად რა მივიღეთ? არც არაფერი — სტატიკური, შეიძლება ითქვას და, იმპოტენტური ფეხბურთი.

ადრე სადღაც წავიკითხე, ერიკსონის მრავალრიცხოვანი საყვარლებიდან რომელიღაცამ შვედზე დაიჩივლა, საწოლში მთლად ისეთი აქტიური ვერ არის, მე რომ მინდაო. იმ ქალის სექსუალური მოთხოვნილებების შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გუშინ ერიკსოონის გუნდს აქტიურობის ნასახი რომ არ გააჩნდა, ეს ფაქტია.

ერთს არ შეეძლო, მეორეს არ უნდოდა. უფრო სწორად, შეიძლება, უნდოდა, მაგრამ ეზარებოდა. შეიძლება იმიტომაც ეზარებოდა, რომ ხედავდა — მეორეს არაფრის თავი არ ჰქონდა და ფიქრობდა, ერთ გოლს მაინც გავიტანო. გაიტანა კიდეც. მთლად მკვდარი პირველი ტაიმის შემდეგ მეორის დასაწყისში ინგლისელები ოდნავ ამოძრავდნენ და მე-60 წუთზე დევიდ ბექემმა, სწორედ მას შემდეგ, ტელევიზორში ვიქტორია ბექემისა და სხვა ინგლისელთა ცოლები თუ ქალები რომ აჩვენეს, ჯადო-საჯარიმო ჩაუხვია მარჯვენა დაბალ კუთხეში მანამდე უქმად მყოფ მორას და მორჩა. ამის შემდეგ თამაში ისევ მოკვდა და ერთი რუნიღა ცდილობდა რაღაცის გაკეთებას.

მერე, ჰოი, საოცრებავ და, ინგლისელებმა დროის გაყვანის გამო გაფრთხილებების მიღებაც მოახერხეს და ერიკსონმაც მოახდინა ტაქტიკური ცვლილებები, რომელთაგან ერთმა არ „გაუმართლა" — ბოლოსკენ, ცოტა არ იყოს, ჯანზე ვერ მყოფი ბექემის ნაცვლად შესულმა აარონ ლენონმა რამდენჯერმე სცადა მარჯვენა ფრთიდან თამაშის გამწვავება, მაგრამ მისკენ რუნის გარდა არავის გაუხედავს. არა, კი შეხედეს, მაგრამ ცოტა გაკვირვებით — რა გრჯის, რა თავს იკლავო.

ერთი პირობა, ბექემის გოლამდე, სათადარიგოთა სკამიდან პიტერ კრაუჩი და ჭაბუკი თეო უოლკოტი წამოდგნენ, მაგრამ გოლი გავიდა და ერიკსონმაც ფორვარდების ნაცვლად კარაგერი შეუშვა მოედანზე. ესეც ერთი, ინგლისელთა გუშინდელი თამაშისთვის დამახასიათებელი შტრიხი იყო. თამაშისთვის, რომელშიც არ იყო, ფლანგური გარღვევები, სწრაფი შეტევები, საჯარიმოში ჩაწოდებები, შორიდან დარტყმები... მოკლედ, არ იყო არაფერი და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

ერთი კია — მუდამ ასე იყო და ინგლისი უსახელო მეტოქესთან ყოველთვის უფერულად თამაშობდა და ძლიერთან ჯიგრიანად ირჯებოდა ხოლმე. თავში ნახსენები 30 წუთიც შვედებთან შეხვედრის პირველ ტაიმზე მოდის. ჩატარებული ოთხი მატჩის დანარჩენი 330 წუთი ერიკსონის გუნდმა უჯიგროდ ითამაშა და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უჯიგრობას ზოგადად ინგლისურ ფეხბურთს ნამდვილად ვერ დავწამებთ.

ინგლისი მეოთხედფინალშია — ზედიზედ მესამე დიდ ტურნირზე სვენ გორან ერიკსონის თავკაცობით. წინა ორ ჯერზე შვედის ნაკრებმა ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდებთან წააგო. ჯერ ბრაზილიასთან, მერე პორტუგალიასთან. სამობით არისო და, თუ მართლა გასამდა, სვენის ინგლისური გასვენების მოწმენიც გავხდებით, თუმცაღა თავად ერიკსონი იხტიბარს არ იტეხს. „პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მეორეში უკეთესად და მეტი სხვაობითაც უნდა მოგვეგო. მჯერა, რომ ოთხი წლის წინანდელი არ განმეორდება და უფრო წინ წავალთ" — აი, ასეთი რამეები თქვა მატჩის შემდეგ სვენ გორანმა და აქვე ბარემ ბექემის სიტყვებიც დავამატოთ: „თამაშამდე ჩემმა მადრიდელმა თანაგუნდელმა რობერტო კარლოსმა მესიჯი გამომიგზავნა, ერთი ჯარიმა ჩემს ანგარიშზე გაიტანეო. არადა, მატჩისწინა ვარჯიშებზე რაღაც კარგად ვერ ვიყავი, საჯარიმოებს არაზუსტად ვარტყამდი და რუნიმ ამიკლო, რა გჭირს, ერთი ბურთი როგორ ვერ უნდა ჩაახვიოო".

ვერაფერს იტყვი — ადგა კაცი, დაარტყა, ჩაახვია და გაიტანა.

**გიორგი ბერიკაშვილი**

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მერვედფინალი

# შეუძლებელია ითამაშო ამაზე კარგად

## გერმანია 2:0 შვედეთი

№49. 24 ივნისი. 19.00. მიუნხენი. „ალიანს არენა“. 66 000 მაყურებელი

1:0, 2:0 პოდოლსკი (4, 12)

*ლარსონმა ვერ გაიტანა პენალტი (53, ააცილა)*

1 ლემანი

მწვრთნელი იურგენ კლინსმანი

3 ფრიდრიხი · 21 მეცელდერი · 17 მერტესაკერი · 16 ლამი

8 ფრინგსი · 13 ბალაკი

19 შნაიდერი · 7 შვაინშტაიგერი

11 კლოზე · 20 პოდოლსკი

10 იბრაჰიმოვიჩი · 11 ლარსონი

9 ლიუნგბერგი · 16 კალსტრიომი

18 იონსონი · 7 ალექსანდერსონი

6 ლინდეროტი

5 ედმანი · 3 მელბერგი · 4 ლუციჩი

მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი

1 ისაკსონი

შეცვლა: კალსტრიომი – 13. ჰანსონი (39), იონსონი – 21. ვილჰელმსონი (52), იბრაჰიმოვიჩი – 20. ოლბოკი (72), შვაინშტაიგერი – 18. ბოროვსკი (72), პოდოლსკი – 10. ნოივილი (74), ფრინგსი – 5. კელი (85)

გაფრთხილება: ფრინგსი (27), ლუციჩი (28), ლუციჩი (35), იონსონი (48), ოლბოკი (78)

გაძევება: ლუციჩი (35)

მსაჯები: კარლოს სიმონი; არისტეუ ტავარეში, ედნილსონ კორონა (ბრაზილია)

| | | |
|---|---|---|
| 16 | *ჯარიმა* | 20 |
| 4 | *კუთხური* | 4 |
| 26 | *კარისკენ დარტყმა* | 5 |
| 11 | *კარში დარტყმა* | 2 |
| 3 | *თამაშგარე* | 2 |
| 63 | *ბურთის ფლობა პროცენტულად* | 37 |



AFP მიუნხენიდან



AFP მიუნხენიდან

**ჯერ** კიდევ შარშან, როცა არავინ იცოდა, რომელ ფეხბურთელებს აიყვანდა ნაკრებში იურგენ კლინსმანი, გერმანიაში „ნაციონალმანშაფტის“ იმ დიზაინის მაისურების გაყიდვა დაიწყეს, რომლითაც ბუნდესნაკრები მიმდინარე მუნდიალზე თამაშობს. გაყიდვის დღიდან აქამდე ყველაზე მეტი ლუკაშ პოდოლსკის მაისურა გაიყიდა.

პოდოლსკის ამ მსოფლიო თასზე უკვე სამი გოლი დაუგროვდა, ერთით ჩამორჩება მიროსლავ კლოზეს — რაც მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, გერმანიამ ათი გოლი გაიტანა და აქედან შვიდი მისმა პოლონური წარმოშობის ფორვარდებმა.

ცოტას არ ნიშნავს სურინამი ჰოლანდიური ფეხბურთისთვის თავისი რუუდ გულიტით, პოლონეთი კი გერმანიისთვის რაღაც განსაკუთრებულია. პოლონური წარმოშობის ფეხბურთელები „ნაციონალმანშაფტში“ თითქმის სულ თამაშობენ. 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისში დასავლეთ გერმანიის კარს ჰანს ტილკოვსკი იცავდა, 70-იან წლებში ბუნდესნაკრების მარჯვენა ფლანგზე იურგენ გრაბოვსკი დაქშიტინობდა, 1982 წელს ესპანეთში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს ჩინებული დრიბლიორი პიერ ლიტბარსკი გამოუჩნდა, 80-იან წლებში დასავლეთ გერმანიის კარში ლეგენდარული ტონი შუმახერი რომ იდგა, ნაკრების მეორე მეკარე დიტერ ბურდენსკი იყო.

ახლა კლოზეს და პოდოლსკის ჯერია. ეს გერმანია კი არც ერთ გერმანიას არ ჰგავს, იურგენ კლინსმანმა თავისი მკაფიო ხელწერა ყველას დაანახა და მათ შორის შვედებსაც.

სკანდინავიელებს ამ შეხვედრაში გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ. გერმანელებმა ძალიან ლაღად და თავდაჯერებულად ითამაშეს, ასე იყო პირველივე წუთებიდან და ჩემპიონატის მასპინძლებმა ადრევე მოუთავეს საქმე შვედებს.

კლოზეს პასებით გატანილ ორ გოლს პადოლსკიმ მესამე ველარ მიუმატა, ანუ მუნდიალზე ჰეთ თრიქის გამხერხებელი ჯერ ვერავინ გამოჩნდა. გერმანელებმა შვედეთთან ვერც ბევრი საგოლე მომენტი გამოიყენეს და ვერც რიცხობრივი უპირატესობა — ტედი ლუციჩის გაძევების შემდეგ ხომ ანგარიში აღარ შეცვლილა.

გოლის გატანა მართებდათ კაცნაკლულ შვედებსაც, როცა კრისტოფ მეცელდერმა ჰენრიკ ლარსონს ხელი ჰკრა და არბიტრმა პენალტი დანიშნა — არის ხოლმე, ფეხბურთელს 11-მეტრიანის შესრულებამდე ეტყობა, თავდაჯერებული რომ არ არის და ასეთი იყო მრავალნაცადი ლარსონიც, რომელმაც ბურთი მაღლა, ტრიბუნისკენ ასტყორცნა.

ბალაკი-შვაინშტაიგერი-ლამი — ეს კვლავაც მთავარი იარაღი და სამკუთხედი იყო კლინსმანის გუნდში — სანამ ბურთი კლოზემდე და პადოლსკიმდე მივა, მას მეტწილად ეს სამკუთხედი აგორებს და ათვინიერებს. თუმც კლინსმანის მანქანას სათადარიგო ნაწილებიც აქვს — მობერებული ბერნდ შნაიდერი, ღონიერი და ფეხმარდი დავიდ ოდონკორი და სხარტი ოლივერ ნოივილი.

თუ გერმანული მედიის საამმატჩო გამოძახილით ვიმსჯელებთ, კლინსმანის გუნდმა ჯერჯერობით თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

გერმანიის ყველაზე მაღალტირაჟიანმა გაზეთმა „ბილდმა“ ამ მატჩის მიმოხილვა ასე დაასათაურა — „ჩვენებმა მსოფლიოს ჩემპიონებივით ითამაშეს“, ხოლო ქვესათაური ასეთი იყო — „კლინსი მარადონას და კომპანიის წინააღმდეგ. შენ შეგიძლია, მათ ბარგი გაუგზავნო სამშობლოში დასაბრუნებლად.“

მუნდიალის დაწყებამდე კლინსმანის გერმანია ბეჩავად გამოიყურებოდა ამხანაგურ მატჩებში და „ბილდი“ მას მაშინ ძალიან მწვავედ აკრიტიკებდა და აშარჟებდა, ახლა კი ხოტბას ასხამს.

„გერმანია მერვედფინალშია კლინსმანის ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვებით. ახლა ჩვენ შეგვიძლია, ჩემპიონობაზე ვიოცნებოთ.

კიდევ ერთი გერმანული გაზეთი „დი ველტი“ კი დასძენს: „გერმანული ზღაპრის ერთი თავი დამთავრდა. კლინსმანის გუნდმა ტრილერის მსგავსი თამაში გვიჩვენა — პარასკევს ბერლინში არგენტინა გველოდება“.

იმავე დღეს არგენტინამ მექსიკა 2:1 რომ დაამარცხა, კლინსმანს მომავალ მატჩზე ჰკითხეს.

„არგენტინას ძალიან დიდი პატივისცემით ვეპყრობი, მათ კარგი გუნდი ჰყავთ. არგენტინას უღიდესი ინდივიდუალისტები ჰყავს და ხოსე პეკერმანის სკოლაზე ხომ ისედაც ბევრს ვლაპარაკობთ“ — განაცხადა კლისმანმა.

კლინსმანის ხელში გერმანიის ნაკრები არგენტინას უკვე ორჯერ შეხვდა და ორივეჯერ 2:2 ითამაშა — ჯერ კონფედერაციათა თასზე, მერე კი ამხანაგურ შეხვედრაში.

„ჩვენ მათ ორჯერ შევხვდით და ახლა დრო მოვიდა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ და დავამარცხოთ ისინი — თამამი განცხადება გააკეთა კლინსმანმა, რაც ამით გაამყარა — გულწრფელად უნდა ვთქვა, ბოლო დროს არ მინახავს ისეთი გერმანიის ნაკრები, შვედებთან პირველ 30 წუთში რომ ვნახე. შემეძლო, საკუთარი თავისთვის რელაქსაციის უფლება მიმეცა და ისე მეყურებინა თამაშისთვის.“

მიხაელ ბალაკი: „არავისი არ უნდა შეგვეშინდეს, შეუძლებელია ითამაშო იმაზე უკეთესად, ჩვენ რომ ვითამაშეთ შვედებთან პირველ ტაიმში.“

ბასტიან შვაინშტაიგერი: „შეგვეძლო, 6:1 მოგვეგო. კიდევ ბევრი რამის ჩვენება შეგვიძლია.“

**დავით თავართქილაძე**

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მერვედფინალი

### არგენტინა 2:1დ.დ. (1:1) მექსიკა

№50. 24 ივნისი. 23.00. ლაიფციგი. „ცენტრალშტადიონი". 43 000 მაყურებელი

0:1 მარკესი (6), 1:1 კრესპო (10), 2:1 მაქსი როდრიგესი (98)




შეცვლა: პარდო – 6. ტორადო (38), გუარდადო – 14. პინედა (66), მორალესი – 7. ზინია (74), კრესპო – 11. ტევესი (75), კამბიასო – 16. აიმარი (76), სავიოლა – 19. მესი (84)

გაფრთხილება: ჰაინცე (46), მარკესი (70), კასტრო (82), სორინი (112), ტორადო (118), ფონსეკა (119)

მსაჯები: მასიმო ბუსაკა; ფრანჩესკო ბურაგინა, მათიას არნეტი (შვეიცარია)

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 28 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 8 | თამაშგარე | 2 |
| 51 | ბურთის ფლობა პროცენტულად | 49 |

# მექსიკა სახლში წაბორხეტიალდა



მაქსი როდრიგესმა მექსიკა სუპერგოლით მოკლა

**მაშ, გერმანია** და არგენტინა! ვაჰ, რა წარსული ცოცხლდება, 16-20 წლის წინანდელი ფინალები — მარადონა და ბურუჩაგა, მათეუსი და კლინსმანი, ბილარდო და ბეკენბაუერი. „ევროსპორტმა" და სხვა სპორტულმა ტელეარხებმა აკი გაგვახსენეს ძველი, ტკბილი დრო.

საინტერესოა, მექსიკელებს რამდენად „ტკბილად" მოაგონდებათ გერმანული ვოიაჟი? მაქსი როდრიგესის ლამის სანტიაგო დე ხუხუიდან დარტყმულს კარგა ხანს ვერ დაივიწყებენ. ისინი ხომ თითქმის 100 წუთი ტოლ-სწორად ეთამაშნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ არგენტინელებს, მერე კი მათ კარში თითქოს ციდან ჩავარდნილი ბურთის გამო მუნდიალი იმ ეტაპზე დაამთავრეს, რომელზეც ამთავრებდნენ თითქმის ყოველთვის. ლამაზი და უკვე სწორი ფეხბურთის მოთამაშე მექსიკა ვერა და ვერ იქცა მსოფლიო გრანდად და ვერც ამჯერად გასცდა სადღაც „საშუალო" ეტაპს.

არადა, ამ ლათინოამერიკული მერვედფინალის დასაწყისი სწორედ მექსიკელებისა იყო, შეხვედრა მათი იერიშებით დაიწყო და აცტეკესპანელთა შვილების მზემ უკვე მეექვსე წუთზე ამოანათა... საჯარიმოს ოდნავ მოშორებით, ჯარიმიდან ჩაწოდებულ და თანაგუნდელის თავზე ასხლეტილ ბურთს მექსიკელთა კაპიტანმა რაფაელ მარკესმა ტერფი შეაგება და აბონდანსიერის კარში უპრობლემოდ შეაგდო. ეს ერთი და სხვაც ბევრიო, გაიხარა 80-მილიონიანმა მექსიკამ. მაგრამ ხუთი წუთი არ იყო გასული, მათი ჟრიამული ისევ მათმა საუკეთესო მოთამაშემ რომ ჩააცხრო.

მე-10 წუთზე არგენტინელთა გამთამაშებელმა ხუან რომან რიკელმემ კუთხურიდან ახლო ძელთან არცთუ მაღალზე ჩააწოდა ბურთი, ბევრი იბრძოლა ერნან კრესპომ, მაგრამ ვერ აჯობა მცველთა დასახმარებლად საკუთარ საჯარიმოში ჩასულ მექისკელთა თავდამსხმელ ხარედ ბორხეტის და ვერაფრით წაჰკრა ფეხი ბურთს. სამაგიეროდ, ეს თავად ბორხეტიმ შეძლო. კრესპოსთან ჯაჯგურში „იმარჯვა" და თავით მოიგერია ბურთი... პირდაპირ საკუთარ კარში. ისე კი, რატომღაც გოლი კრესპოს ჩაეთვალა.

ემოციებით და გოლებით გადატვირთული საწყისი ათწუთეულის შემდეგ გუნდები ოდნავ დაცხრნენ და პოზიციურ ბრძოლაზე გადავიდნენ, მაგრამ ერთი კაცი ვერ ისვენებდა. საკუთარი „დანაშაულებრივი" გოლით გულდამძიმებული და ჟინმორეული ბორხეტი ყველაზე მეტს ცდილობდა, უფრო მეტიც გამოსდიოდა, ვიდრე მის არგენტინელ ოპონენტებს — კრესპოსა და სავიოლას ერთად. მერეც, როცა ბოლო წუთებზე არგენტინელთა თავკაცმა ხოსე პეკერმანმა ეს დუეტი ტევესმესით შეცვალა, ბორხეტი ამათაც ჯობდა, მაგრამ ვერაფრით მოახერხა ნამდვილი გოლის გატანა, თუმცა კი მომენტები ახლოდანაც ჰქონდა და შორიდანაც.

ხიფათს არგენტინელებიც უქმნიდნენ მეტოქეს, თუმცა არც იმდენს და არც ისეთს, ამათ მეკარე ოსვალდო სანჩესს ხელ-ფეხი აჰკანკალებოდა. ასე, ბრძოლაში და მცველთა შეცდომის მოლოდინში გაილია 90 წუთი, მერე კი მაქსის ის ჯადოსნური გოლიც გავიდა, მექსიკელები აეროპორტში რომ გაუშვა, არგენტინა კი მეოთხედფინალში ძველ მტერთან საომრად. ეს გოლი არც მექსიკელთა დაცვის და არც მეკარის შეცდომის ბრალი არ იყო, იმდენად უნაკლოდ დაარტყა როდრიგესმა, თუმცა რას გიყვებით, თავადაც ხომ ნახავდით.

მექსიკა გატყდა, არგენტინელთა ახალგაოფლიანებული თავდამსხმელები და მათთან ერთად აიმარი ლაღად აბურთავდნენ და თუკი მექსიკელებს რამის სურვილი და ხალისი შერჩათ, ისიც ამოუშანთეს.

ნამატჩევ სიტყვაში გამარჯვებულთა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა მესამე გოლიც ინატრა და თავისი საფიქრალ-სადარდებელიც გაამხილა, ახლა მხოლოდ გერმანელებთან თამაშზე და ჩემი გუნდის სათამაშო დისციპლინაზე ვფიქრობ: „ფეხბურთი ტაქტიკური დისციპლინის და ფსიქოლოგიური მდგრადობის ნაერთია. თუ მოგება გინდა, გამარჯვებულის მენტალიტეტი და საჭირო დროს საჭირო სვლის გაკეთების ნიჭიც უნდა გქონდეს და ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვთვლი, რომ ჩვენ დამსახურებულად მოვიგეთ. ცოტა ბოლოში ავირიეთ და ამ დროს მესამე გოლი ვინატრე, რაც ჩვენს გამარჯვებას უეჭველს გახდიდა. მაგრამ არა უშავს. გერმანიასთან თამაშში, ვფიქრობ, გამოვავლენთ დისციპლინას. სხვანაირად გერმანიასთან უფრო გაგვიჭირდება, ვიდრე ახლა. ეს იქნება კიდევ უფრო ძნელი, სულ სხვა დონის თამაში."

რიკარდო ლა ვოლპე: „როგორც ველოდი, ეს ურთულესი მატჩი იყო, ყველაფერი კი ერთმა ინდივიდუალურმა გოლმა გადაწყვიტა. მექსიკის ნაკრებმა შესანიშნავი გუნდური თამაში აჩვენა, მაგრამ არ გაგვიმართლა და ვერც ახლა შევძელით ის, რისთვისაც გერმანიაში ჩამოვედით — ბოლოს და ბოლოს გავსულიყავით მეოთხედფინალში."

**ირაკლი ფირაშვილი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

უყურე ფეხბურთს
ჩვენთან ერთად
და შედეგით
კმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული შედეგები
• უახლესი არატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
HAIRLINE INTERNATIONAL
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერვედფინალი. დღეს

# მკვლელობა გამორიცხული არ არის

## ჰიდინკი კონიაკივითაა, დაძველდა და უკეთესი გახდა

### იტალია — ავსტრალია

კაიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ შტადიონი“. 19.00

| | |
|---|---|
| 1. ბუფონი;<br>19. ძამბროტა, 23. მატერაცი,<br>5. კანავარო, 3. გროსო;<br>8. გატუზო, 21. პირლო, 20. პეროტა;<br>16. კამორანეზი, 10. ტოტი;<br>11. ჯილარდინო<br>მწვრთნელი: მარჩელო ლიპი | 1. შვარცერი; 2. ნილი,<br>3. მური, 14. ჩიპერფილდი;<br>23. ბრეშიანო, 13. გრელა,<br>5. კულინა, 4. კეჰილი,<br>21. სტერიოვსკი; 10. კიუელი,<br>9. ვიდუკა<br>მწვრთნელი: გუს ჰიდინკი |

მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)





**ინგლისურში** არის ასეთი ცნება, გოლიათთა მკვლელი გუნდი ან თამაში. იმას, რომ გოლიათთა მკვლელი არის ის პატარა გუნდი, რომელიც სახელოვან მოწინააღმდეგეებს ამარცხებს, განმარტება, ბუნებრივია, არ სჭირდება. ასევე გასაგებია, რასაც ნიშნავს გოლიათთა მკვლელი თამაში. ჩვენს წერილში კი მკვლელობათა თემას იმიტომ შევეხეთ, რომ, როგორც გავარკვიეთ, სხვადასხვა სააგენტოები არ გამორიცხავენ, იტალიისა და ავსტრალიის მერვედფინალური დაპირისპირება ამ კატეგორიიდან რომ აღმოჩნდეს. მოკლედ, ავსტრალიამ შესაძლოა, იტალიას მოუგოსო, წერენ მსოფლიო ჟურნალისტები და ხელებს ვერც ჩვენ გავასავსავებთ, შეძლებით ყველაფერი შეიძლება, თუმცა უფრო სავარაუდო, „სკუადრა ადურას“ გამარჯვებაა.

მოკლედ შევგახსენებთ, ვინ და რა არის იტალიის ნაკრები: ეს გახლავთ გუნდი, რომელიც 1962 წლიდან ყველა მუნდიალის მონაწილეა, მის ახლანდელ შემადგენლობას კი ბოლო 21 თამაშია არ წაუგია. სხვათა შორის ამ 21 შეხვედრაში შედის მატჩები გერმანიასა და ჰოლანდიასთანაც.

რაც შეეხება „სოკერუს“ — ასე ეძახიან ავსტრალიის ეროვნულ გუნდს — იგი 32 წელიწადია მუნდიალზე არ ყოფილა, თუმცა, ჯგუფურ ეტაპზე ისე ითამაშა, რომ ამ 32 წლით თავის დამშვიდებას არავის ვურჩევთ, მათ რიცხვში არც იტალიას.

და კიდევ, ავსტრალიელთა მწვრთნელი გუს ჰიდინკი ის კაცია, რომელმაც ოთხი წლის წინანდელ მერვედფინალში იტალია ერთხელ უკვე დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოთიშა. მაშინ ჰიდინკი კორეის ნაკრებს ედგა სათავეში. ის თამაში კორეელთა სასარგებლოდ 2:1 დასრულდა.

„ფანტასტიკური თამაში იქნება — ამბობს ავსტრალიელთა თავდამსხმელი ჰარი კიუელი — ჩვენგან ხომ ასე შორს წასვლას არავინ ელოდა. უამრავ ადამიანს წინასწარვე ვყავდით ჩამოწერილი, მაგრამ ამ ყველაფრის პასუხად ჩვენ მშვიდად ვართ და არავისი გვეშინია. იტალიასთანაც იმავეს ვაპირებთ, მოედანზე გავალთ და ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, ისე, რომ მეტოქის სახელსა და რეგალიებზე არ ვიფიქრებთ“.

სხვათა შორის, ავსტრალიელთა მწვრთნელით აღფრთოვანებულთა რიცხვს განეკუთვნება „სკუადრა ადურას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონიც.

„ის მართლაც დიდი მწვრთნელია და ჩვენ ეს კარგად მოგვეხსენება. თამაშის ხარისხს თავი რომ დავანებოთ, გუს ჰიდინკის მიღწეული შედეგები მეტყველებს ყველაფერზე. ჰიდინკი საშუალო გუნდებით ისტორიულ შედეგებამდე მიდის, მაგრამ მომავალ თამაშზე ჩვენი კუთხიდან ვფიქრობ და მინდა გითხრათ, რომ ბოლო ოთხ წელიწადში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. დარწმუნებული გახლავართ, რომ შემდეგ ეტაპზე იტალიის ნაკრები გავა“.

ავსტრალიელთათვის იტალიელთა თამაშში ყველაზე ანგარიშგასაწევი ის არის, რომ გასულ სამ მატჩში „სკუადრა ადურამ“ მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მათმა ცენტრალურმა მცველმა ალესანდრო ნესტამ ჩეხებთან შეხვედრაში ნატკენი საზარდული ვერ მოირჩინა და არ იქნება. ბუნებრივია არ იქნება ოთხი თამაშით დისკვალიფიცირებული დანიელე დე როსიც.

ავსტრალიის ნაკრების კარს კვლავ დაიცავს მარკ შვარცერი, რომელიც უხეში შეცდომებით შემცბარ ჟელკო კალაჩს შეცვლის.

**პაპუნა ძიძია**

# პასკალის პამპერსი

## ცუბერბიულერი მშრალად ინახავს

### შვეიცარია — უკრაინა

კიოლნი. „რაინენერგიშტადიონი“. 23.00

| | |
|---|---|
| 1. ცუბერბიულერი;<br>23. ფ. დეგენი,<br>20. მიულერი, 2. ჟირუ,<br>3. მანინი; 7. კაბანასი, 8. ვიკი,<br>6. ფოგელი, 16. ბარნეტა,<br>22. ჰ. იაკინი; 9. ფრეი<br>მწვრთნელი: იაკობ კუნი | 1. შოვკოვსკი;<br>5. იეზერსკი, 17. ვაშჩუკი,<br>2. ნესმაჩნი; 9. გუსევი,<br>4 . ტიმოშჩუკი, 8. შელაევი,<br>19. კალინიჩენკო; 11. რებროვი;<br>10. ვორონინი, 7. შევჩენკო<br>მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი |

მსაჯი: ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)



ოლეგ ბლოხინი



ალექსანდრ ფრეი

**შვეიცარიის** ნაკრები ერთადერთია მიმდინარე მუნდიალზე, რომელსაც ჯერჯერობით გოლი არ გაუშვია. კობი კუნის შეგირდები ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ, თამაშობენ უაღრესად ორგანიზებულად და ყველა რგოლში დაბალანსებულნი არიან. მხოლოდ შეტევაში უჭირთ ცოტა, მაგრამ ესეც იმის ბრალია, რომ თავდამსხმელები არცთუ კარგ ფორმაში არიან. მთავარმა ფორვარდმა ფრეიმ ტრავმა რომ მოიშუშა, ჩემპიონატიც დაიწყო და ახლა ნელ-ნელა ათამაშდება.

„მას სერიოზული ტრავმა ჰქონდა და მუნდიალამდე „რენში“ მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოასწრო. ახლა ნელ-ნელა ფორმაში შედის და ბევრად მეტი გოლის გატანა შეუძლია. გახდება თუ არა ფრეი ბომბარდირი, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ შანსი უთუოდ აქვს“ — თქვა 62 წლის კუნმა.

საინტერესოა, რომ მუნდიალის დაწყებამდე შვეიცარიელთა ძირითად მეკარე პასკალ ცუბერბიულერს ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა, კარგ ფორმაში არ არისო, თუმცა „ბაზელის“ კარის დარაჯმა ყველა გააჩუმა. იგი ბრწყინვალედ თამაშობს, ნაკრები რამდენჯერმე იხსნა და ჯერ გოლი არ გაუშვია.

კობი კუნი: „სამ მატჩში გოლი ჯერ არ გაგვიშვია და ძალიან კმაყოფილი ვარ, როგორც დაცვის, ასევე მეკარის კარგი თამაშით. პასკალი ერთადერთი გოლკიპერია, რომელიც კარს მშრალად ინახავს. მის შესაძლებლობებში დარწმუნებული რომ არ ვყოფილიყავი, პირველ ნომრად არც ავირჩევდი“.

შვეიცარიელთა მთავარი პრობლემა ფილიპ სენდეროსია, რომელიც უკვე სამშობლოში დაბრუნდა. 21 წლის მცველმა კორეასთან სერიოზული ტრავმა მიიღო. მას, ალბათ, 19 წლის იოჰან ჟირუ შეცვლის. „არსენალის“ ფეხბურთელი ნაკრებისთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ კუნი იმედიანადაა.

„ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იარაღი ისიცაა, რომ ნებისმიერის შეცვლა შეგვიძლია სრულფასოვნად. ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ ამავე დროს უაღრესად ბრძოლისუნარიანი ნაკრები გვყავს. უკრაინა ძლიერი მეტოქეა, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების გვჯერა და ვფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლა უნდა შევძლოთ“ — დასძინა კუნმა.

„შანსი იმისა, რომ ფილიპი ოპერაციას გადაურჩება, 50 პროცენტია. თუმცა ამჟამად მთავარია, რამდენიმე დღე დაისვენოს“ — თქვა ექიმმა.

უკრაინა მერვედფინალს ფაქტობრივად დანაკლისის გარეშე ხვდება. ოლეგ ბლოხინის შეგირდები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და საბრძოლველად ემზადებიან. მთავარი იმედი, ცხადია, ნაკრების კაპიტანი და ლიდერი ანდრეი შევჩენკოა, რომელიც ნელ-ნელა ფორმაში შედის.

„ამ ეტაპზე ყველა ნაკრები ძალიან ძლიერია და სუსტი მეტოქეები აღარ არსებობენ. ასე რომ, მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ თუ ხასიათს გამოვავლენთ, ჩვენი ფანების მხურვალე მხარდაჭერით მეოთხედფინალში გასვლას შევძლებთ“ — აღნიშნა 29 წლის შევჩენკომ.

**გიორგი ძაძაძაძე**



## გიო ახვლედიანის სვეტეული

# საერთაშორისო ჭორის გულუბრყვილო კაცის კითხვა: აურზაური ყველაფრი გამო?



# AVE, CAESAR!

ის არგენტინა მიყვარდა, კემპესი, ბერტონი, ოზი არდილესი და სხვა ასეთი ბიჭები რომ თამაშობდნენ. ოთხმოცდაორი წლისაც, როცა ამათ მარადონა დაემატა, სინამდვილეში კი ასე გამოდის, რომ მენოტის არგენტინა მიყვარდა. იმ დროის მერე რა აღარ მოხდა არგენტინაში: მარადონამ მოიკიდა ზურგზე და კიდევ სამი ჩემპიონატი ათრია. ათრია რომელია: ჩემპიონობა, ფინალი და ეფედრინი, რომელმაც 12 წლის წინათ მსოფლიო ჩემპიონატის ცქერას ლამის აზრი დაუკარგა.

მენოტის შემდეგ არგენტინა მარადონა იყო. მე კიდევ მენოტის გუნდი მომწონდა. არა იმიტომ, რომ გრძელფეხებიანი, მოქნილი ბიჭები თამაშობდნენ, არამედ იმიტომ, რომ არც მანამდე და არც მერე არ მინახავს, ბურთი ასე ლამაზად რომ დაგორავდეს მინდორზე. მომკალით და, არ მინახავს. ასე არაფერი მომწონებია. ეტყობა, მაშინ პატარაც ვიყავი და ეს მენოტისებური გორება, წარმოუდგენლად ლამაზი და ელეგანტური, სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში. მე არ მინახავს, სხვას ასე მიეტანოს ბურთი კარამდე. უკეთესი გზებიც არსებობს ალბათ. ალბათ კი არა, არსებობს და ალბათ უფრო ლამაზიც, მაგრამ მე სწორედ ის მომწონდა და ისე ბევრი არაფერი მომწონებია.

ამასწინათაც ვუყურებდი 78-ის და 82-ის თამაშებს. განა ის არგენტინა უძლეველი და უნაკლო გუნდი იყო? უბრალოდ, ასეთი მსოფლიო ჩემპიონი იშვიათია. ასეთი ადამიანური, სახალხო, ნაკლით სავსე, მაგრამ გასაოცრად ლამაზი.

ღმერთო, ეს რა იყო, უცებ იხსნებოდნენ: საიდანღაც მესამე კაცი რომ გამოვარდებოდა და ასე ლამაზად, სიცარიელეში გაგორებულ ბურთს რომ მიიღებდა. ამის მსგავსი რამ 80-იან წლებში გამოსდიოდა მადრიდის „რეალს", ლეო ბეენჰაკერის მწვრთნელობისას. მაგრამ ის არგენტინა... საერთოდ, იმით შემიყვარდა არგენტინა. ახლა, ბევრი ამბობს მარადონას ყურებაში გავიზარდე და ასე იმიტომ მიყვარს არგენტინაო. მე კემპესით შემიყვარდა, 90-ში კი ველარ ავიტანე. 94-ში მათ ჩემპიონობაზე ვოცნებობდი, მას შემდეგ კი ძალიან მიჭირდა არგენტინელების ცქერა.

არგენტინას უამრავი დიდი ფეხბურთელი ჰყავს. ყოველთვისაც ეყოლება. ოღონდაც, მარადონას შემდეგ ყოველ ხუთ წელიწადში არგენტინაში ხმაური ატყდება ხოლმე, ახალი მარადონა მოდისო. ამათ სიაში შედიან არიელ ორტეგა, რომან რიკელმე, ახლა კიდევ ლეო მესი.

რა თქმა უნდა, არც ერთი ამათგანი მარადონას შორიახლოს არ არის. მარადონა იმითაც იყო მაგარი, რომ არა მხოლოდ თავისი გენია ჰქონდა, არამედ სხვა მაგარი ფეხბურთელების თითო საუკეთესო თვისებაც.

და საერთოდ, მარადონა-ხასიათი არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მარადონა-ფეხბურთელი.

ახლა აღარ მოვყვები ღმერთის ხელისა და ეშმაკის ფეხის ამბავს.

აგე, ზის ტრიბუნაზე და ძალიან გულიანად ქომაგობს არგენტინას.

მე კიდევ მენოტის გუნდები მიყვარდა. სხვათა შორის, 82-ისა არანაკლებ, ბელგიასთან წაგებული, ბრაზილიასთან განადგურებული, იტალიასთან ნაომარი და უნგრეთთან შოუს მომწყობი.

ახლანდელი გუნდი ძლიერია, არგენტინა სუსტი არასდროს არის, მაგრამ მაქსი როდრიგესის ჯადო გოლი რომ არა, იმ თამაშიდან უფრო მექსიკელები მახსოვს. უფრო სწორად, ვნება, რომელსაც მექსიკის ნაკრები აფრქვევდა. ანუ, იმის ხმა, რაც თავის დროზე მენოტის გუნდს შემოჰქონდა მინდორზე, იმის მკრთალი და მოულოდნელი ანარეკლი მექსიკელებში უფრო დავინახე, ვიდრე არგენტინელებში. სინამდვილეში კი, ეს შინაური, ლათინური ფეხბურთი იყო, რომლის იდუმალებათა ამოცნობა ევროპაში უჭირთ ხოლმე. მოსწონთ თამაში, გრაცია, ოსტატობა, შესრულების დონე, მაგრამ რა არის ამ ფეხბურთის უკან? დაჯერებით ვერავინ იტყვის, რა ამოძრავებს მექსიკის ნაკრებს, როცა ის ასე თამაშობს და ასე გამოხატავს თავს მოედანზე, რა შინაგანი ძალაა, რომელიც ამ გუნდს ამგვარად ამოძრავებს. თითქოს თევზებივით სხმარტალებდნენ, ადრეც შემჩნეული მქონდა, მექსიკელი მეკარის ნახტომი ულამაზესია მსოფლიოში.

არ ვიცი. უბრალოდ, მართლა საინტერესოა ასეთი გუნდების შიგნეულობა.

მე კიდევ ის გამიხარდა, რომ ფრანგები გავიდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, არ იყო ჯგუფში ჩასარჩენი გუნდი. რაც ფრანგებს ლანძღავენ... იმ დღეს ანრიც შემოლანძღვიათ ფრანკ ლებეფსა და კრისტოფ დუგარის, ნაკრებში არასდროს თამაშობს ისე, როგორც კლუბშიო. ალბათ, მართლაც ასეა. ამ დღეებში გამოტყდა არსენ ვენგერიც, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მითხრა, ნაკრებს როგორმე უნდა დავეთხოვოო. ასეა თუ ისე, კლუბში ყველაფერი ანრიზეა აწყობილი, ნაკრებში კი... არ ვიცი, ვისზე. საერთოდ კიდევ, ანრის ესთეტიკა ისეთია, რომ როგორც თვითონ მოსწონს და ეგემრიელება, კარში მხოლოდ ისე დაარტყამს. ეს გემრიელობები მას ავტომატიზმამდე აქვს აყვანილი და ხშირად დაურტყამს ისე, ვითარება რომ სხვაგვარს მოითხოვდა, მაგრამ ანრი სხვაგვარს არ ცნობს. ის თავისას ურტყამს. ურტყამს და „არსენალსაც" წაუგია ფინალები, რადგან „თავისი" ხშირად არ გადის. შეიძლება ითქვას, ანრი ფეხბურთის რომანტიკოსია. მეორე ასეთი მეგოლე დღეს არ არსებობს: ყველა ცდილობს, დაარტყას ისე, როგორც მდგომარეობა მოითხოვს და როგორც იმწამს შეუძლია, ანრი კი ცდილობს დაარტყას ისე, როგორც თვითონ უნდა.

დიდი კრიტიკა შეხვდა ფრანგთა ნაკრებს, მაგრამ არა უკრაინისას, რომელსაც არაფერი უჩვენებია იმავ ფრანგებზე უკეთესი.

ალბათ იმიტომ, რომ უკრაინა პირველადაა მსოფლიო ჩემპიონატზე და ჯერჯერობით რაც გამოუვიდა, ისაა, რომ ტყუილი პენალტით მოუგო ტუნისს. წინ შვეიცარიაა, უკეთესს გუნდი ვერ ინატრებს. რამდენი შეუძლია უკრაინას, შვეიცარიელებთან თამაშში გამოჩნდება.

ჩვენს გარემოში კი გრძელდება მარჩიელობა და ლაპარაკი მსოფლიოს საფეხბურთო მაფიაზე: ანრი განგებ აცილებს, შვედეთი-ინგლისი ჩაწყობილი იყო, გრიშა სურკისი ბლატერის გვერდით იჯდა. ყველაფერი ჩაწყობილია. ყველაფერი. ყველაფერი. ყველაფერი ჩაწყობილია. მე, როგორც საერთაშორისო გაქანების გულუბრყვილო ადამიანი (თუ გაგეხარდებათ, იდიოტიც დამიძახეთ) ვაცხადებ, რომ ჩაწყობების არ მჯერა. განსაკუთრებით ევროპის ტერიტორიაზე. ვინც აწყობს, იმას იჭერენ და ასამართლებენ. აი, ამის მჯერა. გულუბრყვილობაა არა?! მე მჯერა, რომ უკრაინას მსაჯი წაეხმარა ტუნისთან, მაგრამ არ მჯერა, რომ ბლატერი და სურკისი ამის გამო თუნდაც ათ წამს ლაპარაკობდნენ. მე მჯერა, რომ ლუჩანო მოჯი დიდი მაქინატორია, მაგრამ ვხედავ, რომ სასჯელი მკაცრი იქნება. მე არ მჯერა, რომ „მილანმა" და „ლივერპულმა" შარშან სტამბოლში „აურზაური არაფრის გამო" გაითამაშეს და მიკვირს, რატომ არ მიჰყავთ ფეხბურთელები ჰოლივუდში, თუკი ყველა ფეხბურთელი ასეთი მსახიობია.

ეჰ...

რამე კი არა, უბრალოდ, ამეების სმენა გემოს უკარგავს ჩემპიონატის ყურებას.

ერთმა ბიჭმა კი მართლა კარგი რამე თქვა: უყურე გერმანიასო, თერთმეტი „მერსედესია" მოედანზეო.

აი, ასეთი რამეები მოსდის ხალხს თავში კარგი ფეხბურთის დროს და უცებ, ჩაწყობილიაო.

ზოგჯერ ადამიანები მანქანები ჰგონიათ, ამორალური, საზიზღარი მანქანები, მე უკეთესი წარმოდგენის ვარ ადამიანებზე. ფეხბურთელებს ვგულისხმობ...



# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

მარადონა კვადრატ პლიუს პელე კვდრატ გაყოფილი ორზე უდრის ლეო მესის.

ეს ისე, რომ ვიცოდეთ.

რაც შეეხება ანდრეი შევჩენკოს, ძალიან მაგრია. ჯერ ერთი, მაგარია იმიტომ, რომ ჩვენი მეგობარი ქვეყნის ნაკრების ლიდერია. მერე მაგარია იმიტომ, რომ საკუთარ თავს ფეხი დაუდო და მსაჯმა პენალტი დანიშნა, შევჩენკოს წაქცევა არ შეიძლებაო და, მერე, კიდევ, მაგარია იმიტომ, რომ ოლეგ ივანოვიჩმა ესე იგი ვლადიმეროვიჩმა რომ შეცვალა, კაპიტნის სამკლავური მოიხსნა და იმავე მსაჯს მიაწოდა — ჩემი ბიჭი, იქამდე ნულა მიმიყვან, მიდი, ერთი, ეს სამკლავური აი, იმას მიუტანეო.

არ მიგიქცევიათ ყურადღება?

მსაჯობა საერთოდ საინტერესო თემაა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო და, რაც მთავარია, დიადი თემაა ინგლისი. ინგლისი, ბატონებო, ფეხბურთის სამშობლოა. ინგლისელებისთვისო, ნათქვამია, სულ ზევით ინგლისია, სადღაც შუაში ღმერთი და მერე ყველა დანარჩენი მოდისო. ჰოდა, რას გეტყვით იცით? მისტერ გრემ პოლი იოსებ შიმუნიჩს, მოუნდება, სამ ყვითელს ამოუღებს, მოუნდება, ოთხს და მოუნდება, ცხრას. ვისი რა საქმეა? და საერთოდ, დიდი მადლობა უთხარით, გეთაყვა, ინგლისელებს, მაგ თქვენს მსოფლიოს ჩემპიონატში რომ თამაშობენ.

დალში, ვუდუზე გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ. ჭეშმარიტად საოცარი რელიგია ყოფილა და, რაც მთავარია, პრაქტიკული — ზომბირებაზე მოგახსენებთ. თუ არ ვცდებით, ზომბირება ასე ხდება: მკვდარს რაღაც წამლებს უკეთებენ, მერე მიწაში ჩამარხავენ, მერე გაჩხიბავენ-გამოჩხიბავენ, სამი დღის მერე ამოთხრიან და ზომბი მზადაა.

არ გეცნოთ საფრანგეთის ნაკრები? ეჭვი გვაქვს, სამფეროვანთა რომელიმე ფეხბურთელი წარმოშობით ჰაიტიდან უნდა იყოს.

საფრანგეთის სიკვდილეზე ერთი ძველი იტალიური ლოზუნგიც გაგვახსენდა, მაგრამ ლოზუნგამდე წინაისტორიას გეტყვით: იყო დრო, როდესაც ფრანგებს სიცილია ჰქონდათ დაპყრობილი და როგორც ასეთ დროს ხდება, მათ წინააღმდეგ კუნძულზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა. ჰოდა, სიცილიელებმა ლოზუნგი მოიფიქრეს, სიკვდილი საფრანგეთს, იტალიავ აღსდექო. ეს მათ ენაზე ასე ჟღერდა: **მ**ორტე **ა**ლა **შ**რანჩა, **ი**ტალია **ა**პელა.

მსოფლიოს ჩემპიონატზეც რღაც ამდაგვარი ხდება არა, ქართველებო?

თუ არა?

თუ კი?

თუ არა?

თუ კი?

თუ არა?

თუ კი?

თუ არა?

თუ კი?

...

...

...

...

...

...

...

...

WWW.
ბაბუნა
ძედია.
COM



კოსმოპოლიტური მიმოხილვა



სილვიო ბერლუსკონი და ლუჩანო მოჯი

# ტექსტი და მუსიკა მოჯისა, ასრულებდნენ: იუვენტუსი და სხვანი

**იტალიურ** საფეხბურთო სკანდალზე უკვე ძალიან ბევრია ცნობილი, მაგრამ გვპირდებიან, რომ კიდევ უფრო მეტს გავიგებთ — ფრანჩესკო სავერიო ბორელის შედგენილი 193 გვერდიანი საქმე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ბრალმდებელ სტეფანო პალაცის გადაეცა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ იტალიური საფეხბურთო კორუფციული სქემის ავტორი გახლავთ „იუვენტუსის" აწ უკვე ყოფილი გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი. ასე რომ, სკანდალის ცენტრში მართლაც „ბებრი ქალბატონია", მაგრამ ისიც ლოგიკურია, რომ მთელი კორუფციული სქემის მონაწილე მარტო ერთი სუბიექტი ვერანაირად ვერ იქნებოდა და შესაბამისად გასაკვირი არ არის, რომ არსებობენ სხვა დამნაშავენიც: „მილანი", „ლაციო" და „ფიორენტინა".

„მოჯიმ შემოიღო სისტემა, რომელმაც, როგორც დავადგინეთ, ზეგავლენა იქონია 2004-05 წლების ჩემპიონატის შედეგზე, მაგრამ ამ სისტემის მოქმედებას უფრო დიდი ისტორია აქვს — თქვა ბორელიმ — მართალია, თავდაპირველად ყველაფერი „იუვენტუსის" სასარგებლოდ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ვითარებას კარგად მოერგნენ „ფიორენტინა" და „ლაციო", „მილანმა" კი მსაჯების კეთილგანწყობის მოპოვების ტექნოლოგია დახვეწა".

შემდეგ ბორელიმ დასძინა, რომ გამოძიება მიღწეულზე არ გაჩერდება და სავარაუდოდ სხვა დამნაშავეებსაც აღმოაჩენს. საქმე ის არის, რომ გამომძიებლებს ახალი და ახალი ძაფები მოჰყვებათ ხელთ და ეჭვი არ არის, ამ ყველაფერს სერიოზული გაგრძელება ექნება.

შემდეგ კვირაში საქმეს სპორტული ტრიბუნალი განიხილავს. ცნობილია ისიც, რომ თემა მხოლოდ მსაჯობითა და საფეხბურთო ურთიერთობებით არ შემოიფარგლება. აქ საქმეში სატელევიზიო ტრანსლაციათა უფლებების გადანაწილება-გამოყენებაა ფრიად დიდი დოზით ჩართული. ცნობისთვის, ინგლისური პრემიერლიგისგან განსხვავებით, სერია A-ს თამაშების ტრანსლირების ერთიანი უფლება არ აქვს, აქ ყველა გუნდი თავისთვის ცდილობს.

ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ ფეხბურთელებს ხშირად რამდენიმე კლუბი ფლობს საზიაროდ.

სულ, ამწუთისთვის, 41 ადამიანი და 19 შეხვედრის შედეგია ეჭვქვეშ.

**ბაბუნა ძედია**

# ტრაბელსის თოფი შეაჩერეს

**ჰატემ ტრაბელსის** აგენტ ფრანკლინ სუდოკის თქმით, მის კლიენტს ლონდონის „არსენალი" სთავაზობს კონტრაქტს. „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა დიდი ხანია, დაადგა თვალი ტუნისელ მცველს, მაგრამ 29 წლის ფეხბურთელის ხელში ჩაგდება აქამდე ვერ შეძლო.

„არსენალის" კამერუნელი მცველი ლორენი ტრავმირებულია და მომავალი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. ამიტომაც ვენგერს ახლა ძალიან სურს ტრაბელსის დამატება და კარგი შანსიც აქვს. ტუნისელს ამსტერდამის „აიაქსთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა და კლუბის გამოცვლას აპირებს.



ჰატემ ტრაბელსი (№6)

ფრანკლინ სედოკი: „არსენალს" კონტრაქტი უკვე მზად აქვს, მაგრამ ჰატემს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. გარკვეული დეტალები შესათანხმებელია. ინგლისური კლუბები ყოველდღე მიკავშირდებიან. მაგალითად, „ვესტ ჰემი" და „მანჩესტერ სიტი". დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ტრაბელსის ჩემპიონთა ლიგაში სურს თამაში და ჰოლანდიაში არ დარჩება".

**ძოძი ძანძელაძი**

## ფეხბურთის რუკასთან

**შოტლანდიურმა** „სელტიკმა" „ფეიენოორდის" ნახევარმცველი ევანდერ სნო შეიძინა და სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. 19 წლის ფეხბურთელმა განაცხადა: „სელტიკი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და საუცხოო ქომაგები ჰყავს. ამ გუნდში თამაში ჩემთვის დიდი გამოწვევაა". სნოს გარდა გლაზგოელებმა ირჟი იაროშიკი გადაიყვანეს „ჩელსიდან".

**ესპანურმა** „სევილიამ" შტუტგარტიდან" მარჯვენა მცველი ანდრეას ჰინკელი იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 24 წლის ფეხბურთელი, რომელმაც ექვსი სეზონი გაატარა „შტუტგარტში", უეფას თასის მფლობელი კლუბის მეორე შენაძენია. სევილიამ მანამდე „შალკედან" კრისტიან პოულსენი გადაიბირა.

**დანიურმა** „კოპენჰაგენმა" „შტუტგარტიდან" იესპერ გრონკიაერი წაიყვანა. ნახევარმცველი ოთხწლიანი კონტრაქტს მოაწერა ხელი. 28 წლის გრონკიაერი შარშან ზაფხულს გადავიდა „ჩელსიდან" „შტუტგარტში", მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

**პორტუგალიურმა** „ბენფიკამ" ათენის აეკ-იდან კოსტას კაცურანისი იყიდა. ევრო 2004-ის ჩემპიონი 27 წლის ნახევარმცველი, ლისაბონურ კლუბს დაახლოებით 2 მილიონი ევრო დაუჯდა. „ბენფიკა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

**ავსტრიულმა** „ზალცბურგმა" პსვ-დან იოან ვონლანტენი იყიდა. შვეიცარიელს მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ეთამაშა და, მაგრამ ტრავმა მიიღო და აღარ წაიყვანეს. 20 წლის ფორვარდმა გასულ სეზონში 29 მატჩი ითამაშა და ექვსი გოლი გაიტანა. „ზალცბურგმა" ვონლანტენამდე ჩეხი ნახევარმცველი კარელ პიტაკი შეიძინა მილიონ 100 ათას დოლარად.

**ესპანურმა** „სოსიედადმა" კლაუდიო ბრავო იყიდა, ჩილეს „კოლო კოლოს" გოლკიპერი. ოკეანისგაღმელის შესაძენად ესპანური პრიმერადივიზიონის გუნდმა მილიონ ორასი ათასი ევრო გაიმეტა.

**ინგლისურმა** „ტოტენჰემმა" კოტდივუარელი დიდიე ზოკორა გადაიბირა. 25 წლის ნახევარმცველი, რომელიც „სენტ ეტიენში" თამაშობდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე სამივე შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იყო. „ეს ტრანსფერი უკვე მოგვარებულია — განაცხადა ზოკორამ — მომავალი სეზონიდან „ტოტენჰემში" ვიქნები."

**ფრანგულმა** „ლიონმა" „მონაკოდან" მცველი სებასტიან სკილაჩი გადაიყვანა, სანაცვლოდ კი სილვენ მონსორო დაუთმო. ორივე ფეხბურთელმა კლუბებთან ოთხ-ოთხ წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

# ცოლების ჩემპიონატი

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „ფიორენტინამ" „იუვენტუსიდან" მანუელ ბლაზი ერთი სეზონით ითხოვა. 26 წლის ნახევარმცველი კიდევ უფრო გააძლიერებს გუნდს, რომელმაც უკვე დაიმატა სტეფანო ფიორე და მარტინ იორგენსენი. ბლაზის „იუვენტუსამდე", „რომაში" „პერუჯაში" და „პარმაში" უთამაშია. „პარმაში" ყოფნისას, დოპინგზე დაიჭირეს და ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

**ფრანგულმა** „მონაკომ" „სოშოს" ნახევარმცველი ჟერემი მენეზი იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მენესმა სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და ფურცლებზე ხელიც მოაწერა. 19 წლის ნახევარმცველი ერთ-ერთი უნიჭიერესია საფრანგეთში. პროფესიული კარიერა კი „სოშოში" დაიწყო.

**ინგლისურმა** „მანჩესტერ სიტიმ" „ლაციოს" ფრანგი ნახევარმცველი უსმან დაბო შეიძინა. „ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ „სიტი" ვარჩიე, რადგან მდიდარი ისტორიის კლუბია" — განაცხადა დაბომ, რომელმაც გასულ სეზონში 28 მატჩი ითამაშა და „ლაციოსთან" კონტრაქტი ამ თვის ბოლო უმთავრდებოდა.

**ესპანურმა** „დეპორტივომ" „ხეტაფეს" ფორვარდი რიკი იყიდა. რიკი თავის დროზე მადრიდის „რეალში" იყო, მაგრამ 2004-ში „ხეტაფეში" გადავიდა და გასულ სეზონში 8 გოლი გაიტანა. მის სანაცვლოდ „დეპორტივომ" ოთხი მილიონი ევრო გადაიხადა. გალისიური კლუბი „ალავესიდან" მეგოლე ბოდიპოს ყიდვასაც აპირებს.

**ფრანგულმა** პსჟ-მ „ნიციდან" სემი ტრაორე შეიძინა. 30 წლის მცველმა გასულ სეზონში 5 გოლი გაიტანა. პარიზულმა კლუბმა ტრანსფერის დეტალები არ გაახმაურა. შეგახსენებთ, რომ ტრაორე „ნიცაში" „კრეტეიდან" გადავიდა.

**პორტუგალიურმა** „სპორტინგმა" ფრანგული „სტრასბურიდან" შვედი ფორვარდი პონტუს ფარნერუდი გადაიბირა და სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. „სპორტინგს" უფასოდ ერგო ფეხბურთელი, რადგან მას „სტრასბურთან" ხელშეკრულების ვადა დაუსრულდა. შეგახსენებთ, რომ ლისაბონური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებს.

**ფრანგული** „მარსელის" თავკაცად ალბერ ემონი დანიშნეს. 53 წლის მწვრთნელმა გუნდი ჟან ფერნანდესისგან ჩაიბარა, რომელიც „ოსერში" გადავიდა. ალბერ ემონი 1972-1978 წლებში „მარსელში" თამაშობდა, გასულ სეზონში კი ფერნანდესის თანაშემწედ მუშაობდა. ემონს მთავარ მწვრთნელად „მარსელში" ადრეც უმუშავია, ოღონდ სულ ორ თვეს იყო პოსტზე.



ალიონა სერედოვა და ჯანლუიჯი ბუფონი



ილარი ბლაზი და ფრანჩესკო ტოტი

**როგორც** ცნობილია, სახელგანთქმულ ფეხბურთელებს გვერდს სახელგანთქმული მზეთუნახავები უმშვენებენ ხოლმე. გამონაკლისი არც ამ მუნდიალზე მომხდარა. დიდსაფეხბურთო ვარსკვლავებს თან ულამაზესი ცოლები თუ საცოლეები ახლავთ და ისინიც თავიანთ მსოფლიოს ჩემპიონატზე „თამაშობენ" — სილამაზეში ოქროს თასს ვინ აიღებს...

მათგან ყველაზე განთქმული ვიქტორია ბექემია, ინგლისის ნაკრების კაპიტნის მეუღლე. თუმცა, როგორც ალბიონური მედია იუწყება, ექს სპაის გოგოს პოპულარობა ძვირად უჯდება — გაზეთების მიერ მოწყობილი გამოკითხვის მიხედვით, ვიქტორია პაპარაცებისგან ყველაზე მეტად არის შეწუხებული — მაღაზიებში საყიდლებზე წასულს ფოტომონადირეთა უზარმაზარი არმია მუდამ თან დაჰყვება.

„მეორე ბექემს", ან უფრო სწორი იქნება ვთქვათ, „შვედ ბექემს", ფრედი ლიუნგბერგსაც ეშხიანი გოგო ჰყავს — სკანდინავიური ეროტიკული ჟურნალების ხშირი სტუმარი მედელაინ ლექსანდერი. ლიუნგბერგი თავადაც „კელვინ კლაინის" ტრუსების მოდელია. მედელაინმა ერთხელ თქვა: „ფრედი უფრო სექსუალურია, ვიდრე ბექემი. უფრო კარგად ურტყამს და ფინტებსაც უკეთესად მიკეთებს".

მზიურ იტალიას ორი ფავორიტი „დედოფალი" ჰყავს — ფრანჩესკო ტოტის ცოლი ილარი ბლაზი (ამათი ქორწილი 2005 წელს იტალიის ტელევიზიამ პირდაპირ ეთერში გადასცა) და ექს მის ჩეხეთი, ალიონა სერედოვა. ჩეხ გოგოს იტალიასთან რა კავშირი აქვსო, თუ იკითხავთ, გიპასუხებთ, რომ სერედოვა ახლა „სკუადრა აძურას" მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის საცოლეა, ადრე კი კრისტიან ვიერის ჰყვარობდა. აპენინელთა ძველი მეგოლის, ჩეხთა მიერ დედოფლად არჩეული ქალი „მოღალატე" აღმოჩნდა, ჯგუფში იტალია — ჩეხეთის ჯახში ბუფონის გუნდს ქომაგობდა თავგამოდებით.

პორტუგალიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, კრიშტიანუ რონალდუს მეგობარ გოგოდ მარჩე რომერო, იქაური ტელევიზიის წამყვანი აურჩევია. მარჩე წარმოშობით ესპანელი გახლავთ და მასზე მადრიდული გაზეთები ავად ანგლობენ — რონალდუს ცელქი რომერუ უფრო მეტ ხიფათს უქმნის, ვიდრე თავად მანჩესტერელი მეტოქის მცველებსო.

უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს ცოლად ამერიკელი კრისტენ პაზიკი ჰყავს, სილვიო ბერლუსკონის ექსსარძლო. ჰოდა, ოკეანისგაღმელი ტურფა, „სანდი თაიმსის" მიხედვით, ფეხბურთელთა მეუღლებს შორის ყველაზე ლამაზი ყოფილა. მეორე-მესამეზე კი ბრაზილიელი კაკას ცხოვრების თანამგზავრი კაროლინა და ტოტის ილარი ბლაზი მოდიან.

ესპანეთის ნაკრების მეკარე იკერ კასილიასი ყოფილ მის ესპანეთთან, ევა მარია გონსალესთან ნიშნობის ამბავს უკვე აღარ მალავს. „სანდი თაიმსის" მსგავსად ყველაზე ლამაზის დადგენა გერმანულმა „დი ველტმაც" მოინდომა და პირველი ადგილი სენიორიტა გონსალესს გადასცა მოწიწებით.

„დეილი ექსპრესისთვის" კი ყველაზე მოხდენილი ლუიშ ფიგუს ცოლი ჰელენ სვედინია. დანარჩენ საპრიზო მეორ-მესამე ადგილს კრისტენ პაზიკი და ილარი ბლაზი ინაწილებენ.

პარაგვაელი როკე სანტა კრუზი ამას წინათ მედიამ „მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ლამაზ მამაკაცად" დაასახელა, თუმცა როკეს შეყვარებული მეგაგალქტიკური მოდელი არ არის. ჟიზელი უბრალო ლამაზი გოგოა.

რონალდო ახლა თავს რაისა ოლივეირათი ირთობს. კიჭას დანიელა ჩიკარელისთან სიყვარულობა არ გამოუვიდა და სხვა ბრაზილიელ მოდელს „დაესხა თავს". პენტაკამპეონთა ფორვარდის გოგომ მუნდიალის დღეებში უკვე მოასწრო პოდიუმზე ქვედა საცვლების სარეკლამოდ გამოცუნცულება.

სანამ ფეხბურთელები ერთმანეთთან ჭიდილში შუბლზე ჭირის ოფლს იწმენდენ, ცოლები დროს უქმად არ კარგავენ და მაღაზიებს ლაშქრავენ. ვიქტორია ბექემმა, უეინ რუნისა და თეო უოლკოტის საცოლეებმა ბადენ ბადენში 101 ათასი დოლარი დახარჯეს... გულშემატკივრობაც არ ავიწყდებათ, რა თქმა უნდა. პარაგვაისთან ინგლისმა რომ გაიმარჯვა, ალბიონელების გოგოებმა მთელი ღამე ვაჟკაცურად სვეს და ელენ რივესს, ფრენკ ლამპარდის ესპანელ ცოლს, მაგიდაზეც უცეკვია...

**ლადო ხომერიკი**

# ჩემი ბავშვობის კონტრაქტი

**„ბლექბერნის"** უელსელი ფორვარდი კრეიგ ბელამი ოფიციალურად გახდა „ლივერპულის" ფეხბურთელი. 26 წლის თავდამსხმელმა მერსისაიდელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ხოლო „ბლექბერნმა" მასში 6 მილიონი გირვანქა მიიღო.

„ლივერპული" ინგლისის ყველაზე ტიტულიანი კლუბია, მაგრამ დიდი ხანია, პრემიერლიგა არ მოუგია და მინდა, მიზნის მიღწევაში დავეხმარო. ვფიქრობ, ჩემპიონატის მოგების შანსი გვაქვს, რადგან გუნდში დიდი პოტენციალია. თანაც ისეთი ჩინებული მწვრთნელი გვყავს, როგორიც რაფაელ ბენიტესია" — თქვა „ნიუკასლისა" და „სელტიკის" ყოფილმა ფორვარდმა.

ბენიტესმა ბელამი, „ვალენსიაში" გადასული ფერნანდო მორიენტესისა და ფეხმოტეხილი ჯიბრილ სისეს შემცვლელად იყიდა. თანაც ირკვევა, რომ უელსელი ბავშვობიდან „ლივერპულის" ქომაგი ყოფილა.

კრეიგ ბელამი: „ბლექბერნიდან" წამოსვლა ძალიან გამიჭირდა. იქ უამრავი მეგობარი გავიჩინე, ფეხბურთელებისა და ხელმძღვანელების ჩათვლით. თანაც ეს კლუბი მძიმე დროს გვერდში დამიდგა და თავსაც კარგად ვგრძნობდი, მაგრამ „ლივერპულის" წინადადებაზე უარს ვერ ვიტყვოდი, რადგან ბავშვობიდან ამ გუნდის ფანი ვარ".

**გიორგი ძაძაბაძე**



# ხარაკირი

**60 წლის** იაპონელმა იოშიო ტაკანაშიმ თავისი ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატიდან უსახელოდ გამოვარდნა ვერ აიტანა და თავი ჩამოიხრჩო. ეს ამბავი ტაივანში, კერძოდ ქალაქ ჩაიჩუნგში მოხდა, სადაც ტაკანაში სიდედრ-სიმამრს სტუმრობდა.

გარდაცვლილის მეუღლემ განაცხადა, რომ მის ქმარს იაპონიის ნაკრების ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ ტელევიზორისკენ აღარც გაუხედავს.

შეგახსენებთ, რომ იაპონიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამიდან ერთი თამაშიც ვერ მოიგო — ავსტრალიასთან და ბრაზილიასთან დამარცხდა, ხოლო ხორვატიასთან ფრედ ითამაშა.

**პაპუნა ძედია**

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში | | | | | | |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 402 | იტალია-ავსტრალია | 1.47 | 3.70 | 7.00 | 1.05 | 1.21 | 2.42 |
| 19:00 | 403 | იტალია-ავსტრალია 0:1 | 2.20 | 3.30 | 2.45 | | | |
| 23:00 | 407 | შვეიცარია-უკრაინა | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 404 | ბრაზილია-განა | 1.30 | 4.60 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| 19:00 | 405 | ბრაზილია-განა 0:1 | 1.65 | 3.60 | 3.30 | | | |
| 23:00 | 406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| | | 30 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 408 | გერმანია-არგენტინა | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 288 | ლანდსკრონა-დეგერფორსი | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 21:00 | 289 | ნორჩოპინგი-ბრომაპოიკარნა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:00 | 290 | ტრელებორგი-ლიუნგსკილე | 1.70 | 3.40 | 3.95 | 1.13 | 1.18 | 1.82 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 26 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 299 | დროგედა-დუბლინი ს | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:45 | 300 | დუბლინი-უოტერფორდი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 22:45 | 493 | სლიგო-დერი | 2.95 | 3.00 | 2.20 | 1.48 | 1.26 | 1.26 |
| | | 27 ივნისი | | | | | | |
| 22:45 | 490 | ბოჰემიანი-კორკი | 3.00 | 3.00 | 2.20 | 1.50 | 1.26 | 1.26 |
| 22:45 | 491 | ლონგფორდი-ბრეი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 22:45 | 492 | შელბურნი-სტ.პატრიკსი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

### ჩოგბურთი. ქალები. უიმბლდონი

26 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 585 | დ საფინა-კრეიბასი | 1.20 | 3.50 |
| 14:00 | 586 | მისკინა-ბლეკი | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 587 | რაიმონდი-შვედოვა | 1.35 | 2.50 |
| 14:00 | 588 | შარაპოვა-სმაშნოვა | 1.05 | 6.50 |
| 14:00 | 589 | ლიხოვცევა-ფორეცი | 1.30 | 3.00 |
| 14:00 | 590 | დემენტიევა-მირზა | 1.30 | 2.85 |
| 14:00 | 591 | ვაკულენკო-კინგი | 1.55 | 2.10 |
| 14:00 | 614 | აზარენკა-რადვანსკა | 1.60 | 2.00 |
| 14:00 | 615 | ბარტოლი-პინი | 1.14 | 4.20 |
| 14:00 | 616 | ბონდარენკო კ-ლისიჯკი | 1.60 | 2.00 |
| 14:00 | 617 | ნაკამურა-ბიჩკოვა | 1.52 | 2.10 |
| 14:00 | 618 | ვაიდისოვა-კუკალოვა | 1.12 | 4.50 |
| 14:00 | 619 | ვესნინა-სანჩეს ლორენცო | 1.50 | 2.10 |
| 14:00 | 620 | გრენეფელდი-პირონკოვა | 1.17 | 3.80 |
| 14:00 | 621 | დულკო-ლაინე | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 622 | კირილენკო-ასაგოე | 1.26 | 2.85 |
| 14:00 | 623 | კლიისტერსი კ-ზვონარიოვა | 1.06 | 6.00 |
| 14:00 | 624 | კუზნეცოვა-ოპრანდი | 1.12 | 4.50 |
| 14:00 | 625 | კუტუზოვა-ოსტერლო | 1.50 | 2.10 |
| 14:00 | 626 | ტუ-ბარდინა | 1.37 | 2.50 |
| 14:00 | 627 | ხანტუჩოვა-კამერინი | 1.20 | 3.40 |
| 14:00 | 628 | ხინგისი-საფჩუკი | 1.03 | 9.00 |
| 14:00 | 629 | ჩაკვეტაძე-იან ზი | 1.21 | 3.40 |
| 14:00 | 630 | შნაიდერი პ-სერა ზ. ან | 1.10 | 4.50 |
| 14:00 | 631 | ენინი-იუან მ | 1.02 | 9.00 |
| 14:00 | 632 | იაკიმოვა-ბრემონდი | 1.90 | 1.70 |
| 14:00 | 633 | სუგიამა-კავალერი | 1.04 | 7.00 |
| 14:00 | 634 | მორესმო-აბრამოვიჩი | 1.03 | 8.00 |
| 14:00 | 635 | კრაიჩეკი-სტოსური | 1.50 | 2.10 |
| 14:00 | 636 | გაიდოსოვა-პრატი | 1.82 | 1.80 |
| 14:00 | 637 | გოლოვინი-დიას ოლივა | 1.20 | 3.00 |
| 14:00 | 638 | ივანოვიჩი-გალიარდი | 1.11 | 4.50 |
| 14:00 | 639 | დომაჩოვსკა-ბორველი | 1.20 | 3.70 |
| 14:00 | 640 | ვაშინგტონი-შრუფი | 1.60 | 2.00 |
| 14:00 | 641 | მიულერი-კანეპი | 1.77 | 1.85 |
| 14:00 | 642 | ფერნანდესი-მარტინეს გრანდო | 1.30 | 2.40 |
| 14:00 | 643 | მედინა-ხსიე სუ ვეი | 1.18 | 3.70 |
| 14:00 | 644 | დუშევინა-მორიგამი | 1.65 | 1.95 |
| 14:00 | 645 | არვიდსონი-ბირნეროვა | 1.40 | 2.50 |
| 14:00 | 646 | გარბინი-ო ბრაიენი | 1.35 | 2.80 |
| 14:00 | 647 | ჯექსონი-ფლიპკენსი | 1.30 | 3.00 |
| 14:00 | 648 | ტანასუგარნი-კასტანო | 1.20 | 3.00 |
| 14:00 | 649 | ნ ლი-რაზანო | 1.35 | 2.50 |
| 14:00 | 650 | მოლიკი-ჩან იუ ჯ. | 1.40 | 2.50 |
| 14:00 | 651 | პასკუალი-სრომოვა | 1.35 | 2.50 |
| 14:00 | 652 | პეშკე-ბრანდი | 1.70 | 1.85 |
| 14:00 | 653 | სპრემი-კეტავონგი | 1.30 | 2.90 |
| 14:00 | 654 | სრებოტნიკი-სუხა | 1.30 | 2.90 |
| 14:00 | 655 | ჩენგი-ბენესოვა | 1.45 | 2.30 |
| 14:00 | 656 | იანკოვიჩი-დომინგესი | 1.15 | 3.85 |
| 14:00 | 699 | ვ უილიამსი-მატეკი | 1.03 | 6.00 |
| 14:00 | 700 | ხარკლეროდი-კოსტანიჩი | 1.55 | 1.75 |
| 14:00 | 701 | ჩინკი-პოუს ტიო | 1.40 | 2.00 |
| 14:00 | 702 | სანტანჯელო-ფრაზე | 1.25 | 2.10 |
| 14:00 | 703 | პირი-ფედაკი | 1.10 | 3.80 |
| 14:00 | 704 | დანილიდუ-პენგი | 1.35 | 2.10 |
| 14:00 | 705 | გრენვილი-ანი | 1.35 | 2.10 |
| 14:00 | 706 | პენეტა-ს კლოზელი | 1.10 | 4.10 |
| 14:00 | 707 | სკიავონი-სოუფი | 1.03 | 7.50 |
| 14:00 | 708 | პერი-ბაროისი | 1.20 | 2.90 |
| 14:00 | 709 | ლოიტი-როდიონოვა | 1.40 | 1.90 |
| 14:00 | 710 | დეში-ბამერი | 1.10 | 3.90 |
| 14:00 | 711 | სუნი-ვიერინი | 1.40 | 2.00 |
| 14:00 | 712 | ა ბონდარენკო-შონესი | 1.50 | 1.90 |

### ჩოგბურთი.კაცები.უიმბლდონი

26 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 14:00 | 592 | ხენმენი-სოდერლინგი | 1.55 | 2.15 |
| 14:00 | 593 | მელზერი-მახუტი | 1.60 | 2.20 |
| 14:00 | 594 | ვლიეგენი-ნოვაკი | 1.45 | 2.50 |
| 14:00 | 595 | ხაასი-ვანეკი | 1.06 | 6.00 |
| 14:00 | 596 | სანტორო-არტურსი | 1.40 | 2.30 |
| 14:00 | 597 | რობრედო-გრიული | 1.11 | 5.00 |
| 14:00 | 598 | ჯოკოვიჩი-გოლდშტეინი | 1.50 | 2.30 |
| 14:00 | 599 | იუჟნი-სტარაჩე | 1.20 | 3.50 |
| 14:00 | 600 | მონფილსი-კუნიცინი | 1.15 | 4.00 |
| 14:00 | 601 | სრიჩაფანი-კალერი | 1.30 | 3.00 |
| 14:00 | 602 | კარლოვიჩი-ვავრინკა | 1.30 | 3.00 |
| 14:00 | 603 | კ კიმი-სანგინეტი | 1.70 | 1.90 |
| 14:00 | 604 | ნალბანდიანი-მული | 1.10 | 5.50 |
| 14:00 | 605 | კლემანი-პორტასი | 1.07 | 6.00 |
| 14:00 | 606 | ჩელა-ბ ბეკერი | 1.40 | 2.50 |
| 14:00 | 607 | ფერერო-ვისენტე | 1.20 | 3.50 |
| 14:00 | 608 | მირნი-რამირეს იდალგო | 1.10 | 4.50 |
| 14:00 | 609 | საფინი-რუსედსკი | 1.45 | 2.35 |
| 14:00 | 610 | ე მიურეი-მასუ | 1.35 | 2.70 |
| 14:00 | 611 | ტურსუნოვი-ულიჰრაჩი | 1.11 | 4.70 |
| 14:00 | 612 | დავიდენკო-ფალა | 1.30 | 2.85 |
| 14:00 | 613 | სეპი-ბეკერი | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 657 | ბლუმფილდი-ბერლოკი | 1.25 | 2.85 |
| 14:00 | 658 | ვერდასკო-სპადეა | 1.45 | 2.30 |
| 14:00 | 659 | კარანუშიჩი-შუტლერი | 1.70 | 1.90 |
| 14:00 | 660 | მალისი-დორში | 1.15 | 3.80 |
| 14:00 | 661 | შტეპანეკი-დანჩევიჩი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 662 | ვანგ იუ-მარაჩი | 1.25 | 2.85 |
| 14:00 | 663 | ჯ. ბლეიკი-პლესი | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 664 | ხიუიტი-ვოლანდრი | 1.04 | 7.00 |
| 14:00 | 665 | ხ ლი-სარჯტა | 1.35 | 2.80 |
| 14:00 | 666 | ზიბი-მონტანესი | 1.30 | 3.00 |
| 14:00 | 667 | როხუსი ო-მიულერი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 668 | დ ფერერი-შტადლერი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 669 | ი მინარი-გარსია ლოპესი | 1.70 | 1.85 |
| 14:00 | 670 | ფ გონსალესი-ხორნა | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 671 | გროსჟანი-სიმონი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 672 | ბერერი-ჯ. დელგადო | 1.55 | 2.10 |
| 14:00 | 673 | პაველი-გრანოლერსი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 674 | ბაგდატისი-მაკინი | 1.05 | 5.50 |
| 14:00 | 675 | ბენეტო-ფიში | 1.45 | 2.35 |
| 14:00 | 676 | ფ მაიერი-ვიკი | 1.30 | 2.85 |
| 14:00 | 677 | როდიკი-ტიპსარევიჩი | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 678 | ლიუბიჩიჩი-ფ ლოპესი | 1.35 | 2.50 |
| 14:00 | 679 | გიმელსტრობი-კ როხუსი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 680 | ა მარტინი-დი მაურო | 1.35 | 2.50 |
| 14:00 | 681 | ი ნიემინენი-დანიელი | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 682 | დ ნორმანი-მ ლი | 1.30 | 2.85 |
| 14:00 | 683 | კოლშრაიბერი-საბაუ | 1.35 | 2.50 |
| 14:00 | 684 | გასკე-ფავრელი | 1.45 | 2.35 |
| 14:00 | 685 | გულალი-ვან გამერენი | 1.45 | 2.20 |
| 14:00 | 686 | ფიში-ჯონესერი | 1.60 | 2.00 |
| 14:00 | 687 | აგასი-პასანსკი | 1.05 | 5.00 |
| 14:00 | 688 | ლუ-კუბოტი | 1.70 | 1.90 |
| 14:00 | 689 | ნადალი-ბოგდანოვიჩი | 1.10 | 5.00 |
| 14:00 | 690 | ფედერერი-გასკე | 1.05 | 5.50 |
| 14:00 | 691 | ბერდიხი-ჰერნიხი | 1.25 | 3.00 |
| 14:00 | 692 | ანჩიჩი-ალმაგრო | 1.07 | 5.00 |
| 14:00 | 693 | ტ იოჰანსონი-ბიორკმანი | 1.65 | 1.95 |
| 14:00 | 694 | სერა-დლოუჰი | 1.28 | 2.80 |
| 14:00 | 695 | ვასკე-გალვანი | 1.45 | 2.20 |
| 14:00 | 696 | ბრაჩიალი-პრპიჩი | 1.65 | 1.90 |
| 14:00 | 697 | ფილიპოუსისი-მატი | 1.65 | 2.00 |
| 14:00 | 698 | ლაბაძე-პეია | 1.75 | 1.90 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15402 | იტალია-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15404 | ბრაზილია-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | შვეიცარია-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16402 | იტალია-ავსტრალია | 1.15 | 4.00 |
| 16404 | ბრაზილია-განა | 1.06 | 5.50 |
| 16406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.60 | 2.00 |
| 16407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.60 | 2.00 |

### გოლი: წყვილი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17402 | იტალია-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17404 | ბრაზილია-განა | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12402 | იტალია-ავსტრალია | 1.60 | 2.00 |
| 12404 | ბრაზილია-განა | 2.00 | 1.60 |
| 12406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.60 | 2.00 |
| 12407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13402 | იტალია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 13404 | ბრაზილია-განა | 1.85 | 1.65 |
| 13406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ვარიანტი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14402 | იტალია-ავსტრალია | 1.20 | 2.60 |
| 14404 | ბრაზილია-განა | 1.05 | 2.90 |
| 14406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.80 | 1.90 |
| 14407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.80 | 1.90 |

### ვინ დაიწყებს თამაშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 19402 | იტალია-ავსტრალია | 1.85 | 1.85 |
| 19404 | ბრაზილია-განა | 1.85 | 1.85 |
| 19406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.85 | 1.85 |
| 19407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.85 | 1.85 |

### ვინ მოაწყდის პირველ აუტს

| | | | |
|---|---|---|---|
| 24402 | იტალია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 24404 | ბრაზილია-განა | 1.80 | 1.80 |
| 24406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.80 | 1.80 |
| 24407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.80 | 1.80 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18402 | იტალია-ავსტრალია | 1.15 | 4.10 |
| 18404 | ბრაზილია-განა | 1.10 | 5.50 |
| 18406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.65 | 2.00 |
| 18407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.65 | 2.00 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ვინ მოაწყდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20402 | იტალია-ავსტრალია | 1.55 | 2.10 |
| 20404 | ბრაზილია-განა | 1.40 | 2.30 |
| 20406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.70 | 1.80 |
| 20407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.70 | 1.90 |

### ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყბ) (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21402 | იტალია-ავსტრალია | 2.10 | 10.00 | 1.55 |
| 21404 | ბრაზილია-განა | 2.20 | 10.00 | 1.50 |
| 21406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.80 | 10.00 | 1.80 |
| 21407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.80 | 10.00 | 1.80 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

| | | | |
|---|---|---|---|
| 22402 | იტალია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 22404 | ბრაზილია-განა | 1.80 | 1.80 |
| 22406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.80 | 1.80 |
| 22407 | შვეიცარია-უკრაინა | 1.80 | 1.80 |

### იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 23402 | იტალია-ავსტრალია | 3.00 | 1.30 |
| 23404 | ბრაზილია-განა | 2.80 | 1.32 |
| 23406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 3.00 | 1.30 |
| 23407 | შვეიცარია-უკრაინა | 3.00 | 1.30 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10402 | იტალია-ავსტრალია | 1.80 | 2.20 | 6.30 | 1.00 | 1.39 | 1.63 |
| 10404 | ბრაზილია-განა | 1.55 | 2.70 | 9.00 | 1.00 | 1.32 | 2.07 |
| 10406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10407 | შვეიცარია-უკრაინა | 2.75 | 2.00 | 3.30 | 1.15 | 1.50 | 1.24 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11402 | იტალია-ავსტრალია | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11404 | ბრაზილია-განა | 1.60 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11406 | ესპანეთი-საფრანგეთი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11407 | შვეიცარია-უკრაინა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**



კლაუს ტოპმიოლერი, ნოდარ ახალკაცი და გიგი უგულავა



# ჩვენ ერთი გუნდი ვართ



ეროვნული ნაკრების ჰიმნის ავტორები: ბექა ჯაფარიძე, აჩიკო გულედანი, სერგი გვარჯალაძე, ვახო ბაბუნაშვილი





## საქართველო ამირანში გაერთიანდა

ჩვენ ერთი გუნდი ვართ! — გნებავთ დევიზი, გნებავთ შეძახილი თუ გულისთქმა დაარქვით, აი, ეს ოთხი სიტყვა გააერთიანებს დღეიდან ქართულ საფეხბურთო ოჯახს.

გუშინ კინოთეატრ „ამირანში" ხალხმრავლობა იყო — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კარგი საქმე გააკეთა და ოფიციალურად დააფუძნა საქართველოს ნაკრების ფან-კლუბი. ეს, მართალია, ცოტა უცნაურია, ვინაიდან ნაკრების ფან-კლუბად თავისთავად მთელი ქვეყანა იგულისხმება, მაგრამ როცა ყველაფერი ისე კეთდება, როგორც გუშინ იყო, გულსაც უხარია და თვალსაც. ის ჰიმნიც, რომელიც აჩიკო გულედანმა მეგობრებთან ერთად დაწერა, ყურსაც ისე კარგად ხვდება, მეტი რომ არ შეიძლება.

საქართველოს ნაკრებს უკვე ყველაფერი აქვს, დარჩა თამაში და მოგება — კულტურისა და სპორტის მინისტრი იყო, თბილისის მერი, ფედერაციის ხელმძღვანელობა თუ უბრალო ქომაგი, გუშინ „ამირანში" ყველა ამას იმეორებდა და კმაყოფილებას არ ფარავდა.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ! — ასე მიესალმა საზოგადოებას საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი, რომელიც თბილისში საგანგებოდ ამ ღონისძიებისთვის ჩამოვიდა და მერე ქომაგისა და ნაღდი ქომაგობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, ეს ჩვენი დევიზი კი კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა.

იმ ჰიმნს, რომელიც გუშინ მოვისმინეთ, საკმაოდ აზარტული კლიპიც ახლავს, ისეთი, რომელიც ნებისმიერ ქომაგს იშტაზე მოიყვანს და ფეხბურთელებსაც საომრად მოქოქავს. ტექსტისა და მუსიკის ავტორი, როგორც უკვე ვთქვით, აჩიკო გულედანია, ვინც ვახო ბაბუნაშვილთან და ბექა ჯაფარიძესთან ერთად გააკეთა ეს საქმე, ვოკალისტი კი დავით ლომიძეა. ჰიმნი სამი ვერსიითაა დაწერილი — არის როგორც პოპ-ვარიანტი, ასევე ოფიციალური და ელექტრო-ვერსია. გარდა ამისა, მომზადებულია საქართველოს ნაკრების რამდენიმე სარეკლამო რგოლი, „ამირანში" შეკრებილებმა კი საჩუქრად ჰიმნჩაწერილი დისკები და დევიზდამშვენებული თეთრ-წითელი მაისურები მიიღეს.

საფრანგეთთან 2 სექტემბრის მატჩამდე კი ის 52-წუთიანი ფილმიც მომზადდება, სადაც საქართველოს ნაკრების მოედანსმიღმა ცხოვრებაა ასახული — ავტორები სერგი გვარჯალაძე და კომპანია „კომუნიკატორი" არიან.

მაშ ასე: ოფიციალურად დაფუძნდა საქართველოს ნაკრების ფან-კლუბი, დაიწერა ჰიმნი, არის ნაირნაირი კლიპები, გვყავს მაღალი დონის მწვრთნელი, სექტემბერში გვექნება ევროსტანდარტების სტადიონი... ითამაშეთ და მოიგეთ!

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

გუშინვე საქართველოს ეროვნული ნაკრების სიმბოლოდ მგელი გამოცხადდა, რომლის ლეკვიც ერთ-ერთ თავგადაკლულ ქომაგს გადასცეს.

**კობა ინასარიძე**

# ცხადაძემ ფრიდოლინი უკვე გამოსცადა

## სიონი და სეთურიძე არ გამოვიდა

**ყირიმულ** შეკრებაზე მყოფმა ბოლნისის „სიონმა" მესამე საკონტროლო მატჩი ითამაშა — სიმფეროპოლის „ტავრიას" 2:0 მოუგო, გოლები კოკა მიკუჩაძემ და ბაჩო ცხადაძემ გაიტანეს.

„ტავრია" უკრაინის უმაღლესლიგელია და „სიონს" ექსპერიმენტული შემადგენლობით დაუპირისპირდა, რადგან მთავარი გუნდი ავსტრიაშია შეკრებაზე.

„სიონში" პირველად ითამაშა კამერუნელმა მცველმა ფრიდოლინმა, ვინც თბილისიდან თამაშის დღეს ჩავიდა ალუშტაში. „სიონში" გვითხრეს, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე ფრიდოლინის გარჯით კმაყოფილი დარჩა.

თბილისში კი „სიონისთვის" შეგულებული კიდევ სამი კამერუნელი ფეხბურთელი ჩამოვიდა: ფორვარდები — გასტონ ბერტონი ევოჩე და ერიკ რომეო ჯასემი და ნახევარმცველი პიერ მონგი. ისინი დღეზე უნდა ჩავიდნენ ალუშტაში.

კამერუნელები სასტუმრო „ციცინათელაში" დაბინავდნენ და დღეს უკრაინაში გაფრინდებიან. სამივე მათგანი კამერუნის გუნდებში თამაშობდნენ: ჯასემი „ფოვუში", პიერი — „ენტეში", ხოლო ევოჩე ამჟამად ბოლნისელებთან მყოფი ფრიდოლინის თანაგუნდელი იყო დუალას „ასტრასში".

პიერმა ბოლო სეზონი კამერუნის მეორე დივიზიონში გაატარა და 9 გოლი გაიტანა. უმაღლესში მობურთალ ჯასემს 16 მატჩში 8 გოლი მოუგროვდა, ხოლო ევოჩემ „ასტრასის" მაისურით 6 შეაგდო.

სამივე მათგანს უთამაშია კამერუნის ასაკობრივ ნაკრებებში, თუმც ეროვნული არც ერთს დაუჭაშნიკებია. 21 წლის ჯასემს თავისი ქვეყნის 20-წლამდელებში უბურთავია, ხოლო ევოჩეს კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში გაუგორებია ბურთი.

18-წლამდელებში ნათამაშევი პიერი ცნობილი კამერუნელის, ერიკ ჯემბა-ჯემბას ბავშვობის მეგობარია. თამაშიც ერთად დაიწყეს და მოწიფულობამდეც ერთად მოდიოდნენ, მაგრამ პიერს ძმაკაცის დარი ნიჭი არ აღმოაჩნდა და მათი საკლუბო გზებიც გაიყო.

ამასობაში „სიონს" უკვე შეუერთდა ცენტრალური მცველი დავით ჭიჭვეიშვილი. ის სეზონის დასრულების შემდეგ წავიდა „სიონიდან", მაგრამ, როგორც ჩანს, უკეთეს გუნდში ვერ მოეწყო და ისევ „სიონში" ითამაშებს — ჭიჭვეიშვილი ბოლნისელებისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია.



გასტონ ევოჩე, ერიკ ჯასემი და პიერ მონგი

თითქმის გამოირიცხა „სიონში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მარჯვენაფლანგელ გიორგი სეთურიძის ჩარიცხვა, ვინც თბილისის „ლოკომოტივის" საკუთრებაა და 2005-06 წლების სეზონის მეორე ნახევარში „ბათუმში" იყო განათხოვრებული. „სიონი" და „ლოკომოტივი" ამ ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

შესაძლოა, „სიონში" აღმოჩნდეს ნახევარმცველი ლაშა ქებაძე, ვინც სეთურიძის დარად, „ლოკომოტივიდან" „ბათუმში" იყო განათხოვრებული.

მოკლედ, საქართველოს ჩემპიონი „სიონი" გამალებულ სელექციაშია, მომდევნო საკონტროლო მატჩს კი დღეს გამართავს „კრივბასთან".

**დავით თავართქილაძე**

# ინტერტოტოს თასი 2006



# გადარბენა

## არავითარი რიდი: თბილისელებმა ძელი და მეტოქე გალუნეს

თბილისი. 24 ივნისი. 19 საათი. მიხეილ მესხი

### დინამო 3:0 კილიკია (5:1)

| | |
|---|---|
| 1:0 გრიგალაშვილი (28), 2:0 გიგაური (41), 3:0 იაშვილი (87) | |
| დინამო: ლორია, ამბროზიო (კ. მახარაძე 21), შ. კაშია, თომაშვილი, ს. კობახიძე, გრიგალაშვილი, გიგაური, ხუციშვილი (იაშვილი 71), გ. მერებაშვილი (ხმალაძე 46), ბობოხიძე, დვალი. მწვრთნელი: კახა კაჭარავა | კილიკია: კირაკოსიანი, ოვანესიანი, აკობიანი, ბაგოიანი, გ. ლასაბიანი, აივაზიანი, ზაქარიანი, ვარდანიანი, კასაბოღლიანი (მკრტჩიანი 78), მოვსესიანი, იბლოიანი. მწვრთნელი: აშოტ ბარსეგიანი |
| გაფრთხილება: ოვანესიანი (32), ლასაბიანი (34), ბობოხიძე (44) | |

**მოლოდინისამებრ**, თბილისის „დინამომ" საპასუხო მატჩშიც დაჩაგრა სომხური „კილიკია" და ორი თამაშის ჯამში საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიშით, 8:1 გაანადგურა მეტოქე.

სიმართლე ვთქვათ, ყველაფერი ერევანშივე გადაწყდა — თბილისელებმა 5:1 მოიგეს და, აბა, ამის შემდეგ რა უნდა მომხდარიყო...

ეგ იყო, რატომღაც მატჩი საღამოს 7 საათზე დანიშნეს, მაშინ, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალის გერმანია — შვედეთი უნდა გამართულიყო და შედეგად, „მიხეილ მესხი", ფაქტობრივად, ცარიელი იყო...

კახა კაჭარავას ბევრი საფიქრალი არ ჰქონია თამაშამდე, შემადგენლობაც გაადახალისა და „კილიკიას" ასეც მოუღო ბოლო.

მომენტების აღწერას თქვენის ნებართვით, აღარ მოვყვებით, რამეთუ დინამოელთა უპირატესობა თვალსაჩინო იყო და ისედაც ხომ ვთქვით, მატჩი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა...

პირველი გოლი მასპინძლებმა 28 წუთზე გაიტანეს: შოთა გრიგალაშვილმა ტექნიკური დარტყმით დაამწუხრა მეტოქე. პირველ ტაიმში ერთი გოლიც ვნახეთ — ამჯერად დავით გიგაური გამოირჩა — 2:0.

სხვათა შორის, გიგაურსვე ჰქონდა პირველი რეალური მომენტი ამ მატჩში, როცა მე-15 წუთზე სწორედ გრიგალაშვილის პასით ძელი შეაზანზარა.

ძელმა დაალონა ჯაბა დვალიც, ერევნულ მატჩში დუბლის გამტანი ფორვარდი, ვისაც შაბათსაც რამდენჯერმე შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა აშკარად არ გაუმართლა.

ისე, საინტერესო იყო, რომ „დინამომ" მეტოქე ბოლო ათწუთეულშიც არ მოასვენა, შეტევას შეტევა მიაყოლა და დვალის ძელს სანდრო იაშვილის სახიფათო თავური და კახა მახარაძის შორეული დარტყმული (ისევ ძელი) მოჰყვა.

წერტილი კი მატჩს იაშვილმა დაუსვა — 87-ე წუთზე ულამაზესი დარტყმით შანსი არ დაუტოვა მეკარეს.

„დინამო" ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპზე გავიდა, სადაც ავსტრიულ „რიდს" შეხვდება.

**ბახა შალამბერიძე**



დავით გიგაურის საგოლე დარტყმა

# დინამომ კილიკია ავსტრიაში გააგრძელა

**თბილისის** „დინამომ" გუშინწინ ინტერტოტოს პირველი ეტაპი რომ ძალია და სომხური „კილიკია" ორი მატჩის ჯამში 8:1 დაამარცხა, გუშინ გამთენიას უკვე ავსტრიას მიაშურა, სადაც ათდღიან მოსამზადებელ შეკრებას გაივლის. ჩვენები გრაცთან ახლოს, დაბა ფონსდორფში დაბინავდნენ. მწვრთნელ კახა კაჭარავას ნამგზავრ-ნათამაშევი ფეხბურთელები აღარ დაუტვირთავს, გუნდმა გუშინ დაისვენა, დღეიდან კი საფუძვლიან მზადებას შეუდგება.

თბილისელებს ავსტრიაში ადგილობრივ, გერმანული მეორე ბუნდესლიგისა და რეგიონალლიგის გუნდებთან ხუთი ამხანაგური შეხვედრა აქვთ დაგეგმილი. ერთ მატჩსაც ჩვენები შაბათს გრაცში „რიდთან" ითამაშებენ — ინტერტოტოს მეორე ეტაპზე „დინამოს" მეტოქე სწორედ ეს გუნდია. ისე გამოდის, რომ თბილისელებმა ავსტრიაში ყოველ მეორე დღეს უნდა ითამაშონ.



კახა კაჭარავა

**ბობა ინასარიძე**

# ამერს ტეპლიცე რუჟომბეროკში გაუცვალეს

**შეკრების** დროს ხშირად ხდება, რომ დაგეგმილი სპარინგი იშლება ხოლმე. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ასე დაემართა „ტეპლიცე" — „ამერის" გუშინწინდელ მატჩსაც. თუმცა ამით საქართველოს თასის მფლობელებს სულაც არ უზარალიათ: მასპინძლებმა სლოვაკეთის ჩემპიონ „რუჟომბეროკთან" გაახერხეს ამხანაგური მატჩი.

**ამერი 2:3 რუჟომბეროკი**

0:1 საპარა (12), 1:1 დოლიძე (35), 2:1 დავითაშვილი (43), 2:2 მასლო (49), 2:3 ტომკო (70)

*ზობრიაკმა ვერ გაიტანა პენალტი (11, მეკარე)*

**ამერი**: ქვაჩახია, ბერიანიძე (მჭედლიშვილი 63), დავითნიძე, ხვადაგიანი (ჩიკვილაძე 68), ელბაქიძე, დოლიძე (ნიკოლაიშვილი 81), დობროვოლსკი (გაბისკირია 53), დეკანოსიძე (ბოლქვაძე 53), ჯელაძე (სილაგავა 60), სევასტოპულო (ჩიმაკაძე 72), დავითაშვილი (ტატანაშვილი 63).

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდს მრავლად მომენტი ჰქონდა და საბოლოოდ სლოვაკებმა 3:2 იმარჯვეს.

გუშინ კი „ამერის" სათადარიგო შემადგენლობა რუსული „სატურნის" დუბლებს გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა. ჩვენებურთაგან გოლი დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა.

**გიორგი დარჯანია რუინიცედან**

# ჩიხურა ქუთაისში იყო და ზღვაზე მიდის

**უმაღლეს** ლიგაში აღზევებულმა საჩხერის „ჩიხურამ" რამდენიმე დღის წინ „ბათუმიდან" ნახევარმცველი ბეგლარ თედორაძე დაიმატა, გუშინ კი ქუთაისში „ტორპედოს" გაეჯიბრა და 1:2 წააგო. ქუთაისელთაგან გოლები ნიკა ნადირაძემ და ზვიად ქუთათელაძემ გაიტანეს, „ჩიხურამ" კი შეცვლაზე შესული დავით გოდერძიშვილის პენალტით იხეირა.

„ჩიხურას" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: *მამალაძე, მარნიშვილი, თავბერიძე, ბრეგვაძე, თედორაძე, გ. ჩხეტიანი, მესხი, ჩომახიძე, ეგაძე, გ. მიძაძე, მ. მიქაძე.*

„ტორპედოსთან" ტრავმების გამო ვერ ითამაშეს ლევან სანიკიძემ, ლევან მერებაშვილმა და სანდრო ბურნაძემ.

„ჩიხურა" სეზონისწინა მზადებას 5-6 ივლისს ზღვისპირეთში, აჭარაში ან გრიგოლეთში გააგრძელებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქართული პოკერი

## მარცვალაძის სამი და იმედაშვილის ერთი

**შვეიცარიულ** შეკრებაზე მყოფმა კიევის „დინამომ" გუშინწინ პირველი საკონტროლო შეხვედრა გამართა და პირველად მოირგო „დინამოს" მაისურა 22 წლის ქართველმა დავით იმედაშვილმა. მოგეხსენებათ, უკრაინულ გრანდში იმედაშვილი გასინჯვაზეა, ხოლო კიდევ ორი ჩვენებური, ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი კლუბში იანვრიდან ირიცხებიან.

შეთანხმებისამებრ, „დინამოს" შვეიცარიულ „სიონთან" უნდა ეთამაშა, მაგრამ ერთ-ერთ ადგილობრივ სამოყვარულო კლუბთან კი მოუწია პაექრობამ — კიეველებმაც არ დაინდეს მეტოქე და 21:0 გადაუარეს.

მარცვალაძემ ბრაზილიელი კლებერის, უზბეკი შაცკიხის და ლატვიელი ვერპაკოვსკისის დარად ჰეთ თრიქი შეასრულა, პირველი კიევური გოლი გაიტანა იმედაშვილმა; აი, ალადაშვილს კი საერთოდ არ უთამაშია.

**ლუკა თალაკვაძე**

# ინტერტოტოს თასი 2006

## I ეტაპი. საპასუხო მატჩები

24 ივნისი

**ტირასპოლი** *(მოლდოვა)* 2:0 არაზი (აზერბაიჯანი) (0:1)
კარმარტენი (უელსი) 1:3 **ტამპერე** *(ფინეთი)* (0:5)
პარტიზანი (ალბანეთი) 2:1 **აშნა** *(კვიპროსი)* (2:4)
დუნგანონი (ჩრდ. ირლანდია) 0:0 **კეფლავიკი** *(ისლანდია)* (1:4)
ტორსჰავნი (ფარერები) 0:1 **დინაბურგი** *(ლატვია)* (1:1)
**მარიბორი** *(სლოვენია)* 5:0 სანტა ჟულია (ანდორა) (3:0)
**შელბურნი** *(ირლანდია)* 4:0 ვეტრა (ლიტვა) (1:0)

25 ივნისი

**კალმარი** *(შვედეთი)* 2:0 ნარვა (ესტონეთი) (6:1)
**მტზ-რიპო** *(ბელარუსი)* 1:3 შახტიორი (ყაზახეთი) (5:1)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 0:6 **ნიტრა** *(სლოვაკეთი)* (2:6)
**ფარული** *(რუმინეთი)* 2:0 პობედა (მაკედონია) (2:2)
მარშასლოკი (მალტა) 1:1 **ზრინსკი** *(ბოსნია)* (0:3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაბრიელა

## არგენტინული სპორტის მარადი სურნელი

EXCLUSIVE



ეს შავგვრემანი და ეშხიანი არგენტინელი ლამაზმანი დღესაც ახსოვთ სპორტის ქომაგებს მიუხედავად იმისა, რომ ათი წელია, დიდ კორტზე არ გამოუნათებია. მხოლოდ 26 წლის იყო, ჩოგბურთიდან რომ წავიდა და ათასობით მამრის გული და გონება წაიყოლა. ქალთა ჩოგბურთი დღეს ასე პოპულარული რომაა, მისი, გაბრიელა საბატინის მოხდენილი და კოხტა სხეულის დამსახურებაცაა. მოკლედ, ის იყო ქალი კუნთმაგარ დედაკაცებში და მისი სურნელი მრავალს აბრუებდა. საკუთარი სუნამოც გამოუშვა და ესეც თითქოს სიმბოლური იყო.

ლამაზმანები ყველა ეპოქაში დანარნარებდნენ კორტებზე, თუნდაც ანა კურნიკოვა გავიხსენოთ. მაგრამ საბატინის კურნიკოვასთან შედარება სირცხვილიცაა. გაბიმ, როგორც მას მოფერებით ეძახიან, ტუტუცურ კეკლუცობას არ გადააყოლა ჩოგბურთი. პირველი არასდროს ყოფილა, მაგრამ გამუდმებით პირველთა შორის ტრიალებდა, 1990 წელს ამერიკის ღია პირველობაც მოიგო. ტრავმები და კარიერის ნაადრევად და ნაძალადევად დასრულება რომ არა, ვინ იცის, რამდენ სლემტიტულს წააყოლებდა ხელს



## საბატინის ფინალში ესპანეთი და არანჩა უნდა

ბაჩო სვანიძე

— ახლა ძალიან მოუცლელი ვარ და სასაუბროდ დიდი დრო არ მაქვს. არგენტინის ლამის ყველა კუთხე-კუნჭული შემომატარეს, მალე კი ევროპაშიც მომიწევს მოგზაურობა — გვითხრა გაბრიელა საბატინიმ, როდესაც რამდენიმე მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, ინტერვიუს ასაღებად დავუკავშირდით.

არგენტინელთა უმშვენიერეს ლეგენდასთან ინტერვიუ ლამის მთელი თვე გაგვიჭიმა. პირველი დარეკვისას მხოლოდ სამ-ოთხ კითხვაზე გაგვცა პასუხი, მეორედ დაკავშირება კი ახლახან შევძელით.

**— როდესაც პირველად დაგირეკეთ, გვითხარით, რომ სულ გზაში ხართ. ზაფხულს მოგზაურობაში ატარებთ?**

— ასე გამოდის, მაგრამ დასასვენებლად რომ ვიყო, უბედნიერესი ადამიანი ვიქნებოდი. არგენტინაში გადაწყვიტეს, სამშობლოში პოპულარული სპორტსმენების შესახებ სერიალი გადაიღონ და მეც გადასაღებ მოედნებს ვერ მოვშორდი.

**— გვესმის, რომ ეს ყველაფერი დამღლელია, მაგრამ სასიამოვნოც იქნება, როდესაც შენზე ფილმს იღებენ...**

— რა თქმა უნდა, გსიამოვნებს, მაგრამ დამიჯერეთ, რამდენი დუბლიც დღეში მჭირდება, იმდენი რომ მევარჯიშა, ახლაც კორტზე ვიქნებოდი.

**— სერიალი ბიოგრაფიულია?**

— ასე გამოდის. თორმეტი სერია უნდა იყოს. პარალელურად სხვა გამოჩენილ არგენტინელ სპორტსმენებზეც იღებენ და ჩვენი ცხოვრება ერთ სერიალში იქნება თავმოყრილი. სერიალი კი არის, მაგრამ დოკუმენტურ ფილმი უფროა.

**— სხვა რომელ სპორტსმენებს იღებენ?**

— რა თქა უნდა, მარადონას, დავიდ ნალბანდიანს, მანუ ჯინობილის... ახლა ყველა არ მახსენდება.

**— გადაღებებზე ყველა ერთად ხართ?**

— არა, თითოეულთან დამოუკიდებლად მუშაობენ, მერე ამ ყველაფერს დაამონტაჟებენ და პარალელებს გაავლებენ.

**— გიჭირთ მსახიობობა?**

— არც ისე, საკუთარი თავი უნდა ვითამაშო და ამაში ახალი არაფერია. თანაც, ჩემი ძმა ოსვალდო პროფესიონალი მსახიობია, რამდენიმე სერიალსა და ფილმში უთამაშია და რჩევებს არ მაკლებს. უბრალოდ, დამღლელია აქეთ-იქით სიარული. ახლა ვხვდები, რატომ უხდიან მსახიობებს ამხელა ფულს. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩებისას ყველა ტელევიზორთან ვართ და ამ დროს ვისვენებთ, თუ ამას დასვენება ჰქვია.

**— რატომ, არგენტინის ნაკრები ხომ ჯერჯერობით კარგად მიდის...**

— არგენტინა ყოველთვის მაგარია. უბრალოდ, ეს საათნახევარი ხანდახან ოცდაოთხ საათად მეჩვენება. მატჩების ყურებისას ისე ვნერვიულობ და იმდენ ენერგიას ვხარჯავ, რომ მერე ძილის მეტი არაფერი მინდა.

**— გჯერათ, რომ არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდება?**

— აუცილებლად! ახლავე ვთმობ ჩემს ყველა ჯილდოს ფინალში არგენტინის ერთ გოლზე მაინც. ერთს მესი გაიტანს, ერთსაც ტევესი და ალბათ, ეს საკმარისი იქნება ფინალის მოსაგებად.

**— ალბათ. ისე, ვის ისურვებდით ფინალში არგენტინის მეტოქედ?**

— აქ ყველას უნდა, რომ ფინალში ბრაზილიას შევხვდეთ, მაგრამ მე რომელიმე ევროპული ნაკრები, თუნდაც ესპანეთი მირჩევნია. მერე არანჩა სანჩეს-ვიკარიოს დავურეკავ, წაგებას მივულოცავ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— როგორც ვიცით, მარადონასთან მეგობრობთ?**

— დიხ, ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. ასევე ვმეგობრობ სერხიო გოიკოეჩეასთან. გახსოვთ ეს მეკარე? ძალიან კარგი პიროვნებაა.

**— დროა, ჩოგბურთზე ვთქვათ. მოგწონთ თანამედროვე ჩოგბურთი?**

— მომწონს, რადგან ტემპიც მეტია და უფრო ათლეტურიც გახდა. ყოველი შემთხვევისთვის, ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს.

**— თქვით, რაც გადასალებ მოედანზე ვარ, იმდენი რომ მევარჯიშა, ახლაც კორტზე ვიქნებოდიო. თანამედროვე ჩოგბურთში თქვენს ადგილს ხედავთ?**

— რატომაც არა. დღევანდელი ჩოგბურთი სისწრაფით და ათლეტურობით უსწრებს ათი წლის წინანდელს, თორემ სათამაშო სტილი დიდად არ შეცვლილა. საჩოგბურთო ელემენტებს ვგულისხმობ, რასაც ბადესთან გასვლა და უკნიდან დარტყმები ჰქვია. ამ კომპონენტებში მართლაც ძლიერი ვიყავი, შეტევა მიყვარდა, მეტოქის შეცდომას არ ველოდებოდი. ახლანდელი ჩოგბურთიც შეტევაა. ვერ ვიტყვი, რომ დიდ ტურნირებს ერთი მეორის მიყოლებით მოვიგებდი, მაგრამ ახლა რომ კორტზე ვიყო, მგონი, არაფერს გავაფუჭებდი.

**— ჩოგბურთიდან 26 წლისა წახვედით. დაბრუნება არ გიცდიათ?**

— რომ არა ქრონიკული ტრავმა, დავბრუნდებოდი, მაგრამ რასაც ჩოგბურთის თამაში ჰქვია, ის მინდოდა და არა აქა-იქ ღლაბუცი.

**— თანაც მერე ბიზნესითაც დაინტერესდით...**

— სუნამოებს გულისხმობთ?

**— დიახ.**



— ისე მოხდა, რომ ბიზნესში უფრო გამიმართლა, თუმცა ესეც ჩოგბურთმა მომცა. ჯერჯერობით კარგი ბიზნ ვარკარგია, არა, როდესაც საკუთარი წარმატება ასე გიხარია?

**— იცით, რომ სუნამოების რეკლამირებისას თქვენი პოსტერები თბილისის ქუჩებშიც იყო გამოკრული?**

— მართლა? ძალიან კარგი. ესეც მოწმობს, რომ ყველგან მაგარი ვარ! ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

**— ვიცით, რომ ლეილა მესხის მეგობარიც ხართ...**

— თან ძალიან ახლო მეგობარი. მართალია, ერთმანეთს ველარ ვხედავთ, მაგრამ ტელეფონით ყოველთვის ვიგებთ ერთმანეთის ამბებს. ლეილასთან დაუვიწყარი მატჩები მითამაშია. როგორი კარგი ჩოგბურთელიც იყო კორტზე, უკეთესი მეგობარია კორტს მიღმა. მგონი, მასზე დიდი ჩოგბურთელი არც გამოჩენილა თქვენს ქვეყანაში.

**— ერთსაც გკითხავთ. ვინ მიგაჩნიათ დღეს საუკეთესო ჩოგბურთელად?**

—ქალებში ჟუსტინ ენენი, კაცებში კი ყველა პროფესიონალი არგენტინელი. რა ვქნა, სხვას ჩემიანი მირჩევნია, ქალებზე კი ამას ვერ ვიტყვი, რადგან არგენტინაში ქალთა ჩოგბურთი კრიზისშია.

**— რატომ?**

— ამის ბევრი მიზეზი არსებობს. მთავარია, რომ ახლა მოდიან 12-13 წლის გოგონები, რომლებსაც დიდი ჩოგბურთის თამაში შეუძლიათ. ისინი მალევე უნდა წავიდნენ ევროპაში ან ამერიკაში, თორემ არგენტინაში არ არის საამისო პირობები, დიდ ჩოგბურთელად რომ ჩამოყალიბდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიქაელა, და რიხარდისა

## ფედერერმა გასკე ნოტინგემშიც დაინახა




**წინასაუიმბლდონო** უკანასკნელი მოთელვა ინგლისსა და ჰოლანდიაში შემორჩენილმა ჩოგბურთელებმა შაბათს მოათავეს და მთელი საჩოგბურთო სამყარო 24 საათით გაისუსა. დღეიდან კი ორი კვირის განმავლობაში მოქმედებათა ეპიცენტრი ლონდონში იქნება.

ამ უქმეებზე კი კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ძალიან არ გაუმართლა როჯერ ფედერერს. უიმბლდონური პოკერის შესრულებაზე მეოცნებე დიად ალპელს უძნელესი სათამაშო ბადე შეხვდა და თუ აქამდე ამას ვინმე ეჭვით უყურებდა, შაბათს დარწმუნდა, რომ „მხიარულ როჯერს" თავიდანვე დიდი ოფლისღვრა მოუწევს.

საქმე ის არის, რომ შვეიცარიელის პირველი მეტოქე რიშარ გასკე იქნება. ეს პერსპექტიული, მაგრამ ამ სტატუსზე გაყინული ახალგაზრდა ფრანგი ფედერერთან ყოველთვის კარგად თამაშობდა. გასულ კვირას კი გასკემ დაამტკიცა, რომ ბალახზე თამაშიც ეხერხება და დიდებულ ფორმაშიცაა.

თინეიჯერმა ფრანგმა ნოტინგემში ძალიან იოლად გაიმარჯვა, შარშან მოპოვებული ტიტული შეინარჩუნა და უიმბლდონს დამატებითი ინტრიგაც შესძინა — გასკე კარგ ფორმაშია, დასაკარგი არაფერი აქვს და ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელ თავქარიან და რისკიან ჩოგბურთსაც თამაშობს, რაც „მხიარულ როჯერს" არცთუ ამხიარულებს. მოკლედ, დიდი სენსაციის სუნი ტრიალებს.

კაცთა მეორე ტურნირის ფინალში, ჰოლანდიურ ჰერტოგენბოშში, მარიო ანჩიჩმა დამაჯერებლად იმარჯვა და ყველას დაანახვა, რომ მასზე გაცემული ავანსები არცთუ უსაფუძვლო ყოფილა.

შაბათის მერე, ალბათ, ქალთა ტურნირის ფავორიტის გადაფასებაც ბევრს მოუწევს — აქამდე ჟუსტინ ენენ-არდენის შანსებს არც ისე სერიოზულად აფასებდნენ, მაგრამ ჭინკა ბელგიელი ისტბურნში იმდენად სოლიდურად გამოიყურებოდა, ბალახზე თამაშის უცოდინრობას ველარავინ დასწამებს.

ენენმა აქ კიდევ ერთხელ გაამწარა თანამემამულე კიმ კლაისტერსი, მერე კი ცუდი დასაწყისის მიუხედავად, ანასტასია მისკინასაც მოუგო და ისტბურნული თასიც ჩაიხუტა.

ჰერტოგენბოშის ქალთა ტურნირზე კი, ადგილობრივთა გასახარად, მიქაელა კრაიჩეკმა იზეიმა გამარჯვება. ეს ქალბატონი სახელოვანი რიხარდ კრაიჩეკის უმცროსი და გახლავთ და, მართალია, ძმასავით სახელი ჯერაც ვერ დაუგდია, მაგრამ აქა-იქ გამოანათებს ხოლმე. ამჯერად კრაიჩეკს ტრიუმფისთვის ორი ძლიერი რუსის, ტურნირის პირველი და მეორე ნომრების ელენა დემენტიევასა და დინარა საფინას დამარცხება დასჭირდა.

**ბაჩა ლომაშვილი**

| |
|---|
| **კაცები** |
| ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი. საპრიზო 323 250 € |
| **ფინალი** |
| **მარიო ანჩიჩი** (3, ხორვატია) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 65:0 5:7 7:5 |
| **კაცები** |
| ნოტინგემი, ინგლისი. ბალახი. საპრიზო 323 250 € |
| **ფინალი** |
| **რიშარ გასკე** (საფრანგეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4 6:3 |
| **ქალები** |
| ისტბურნი. ინგლისი. ბალახი. საპრიზო 600 000 $ |
| **ფინალი** |
| **ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) — ანასტასია მისკინა (5, რუსეთი) 4:6 6:1 7:6 |
| **ქალები** |
| ჰერტოგენბოში. ჰოლანდია. ბალახი. საპრიზო 175 000 € |
| **ფინალი** |
| **მიქაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — დინარა საფინა (2, რუსეთი) 6:4 6:3 |



# ანდრე აგასიმ წამოჰყომი ჩართო

## წავა და ხიბლს და ჯადოს წაიღებს

**დიდი,** აწ უკვე ლეგენდად ქცეული ანდრე აგასი ემშვიდობება ჩოგბურთს. ეს უიმბლდონი, შემდეგ სამი-ოთხი ტურნირი ჰარდზე და ბოლოს აშშ-ის ღია პირველობა — ამის შემდეგ აგასი ჩაალაგებს ჩოგნებს ჩანთაში და კორტს სამუდამოდ დაემშვიდობება.

„ბევრი რამის გაწირვა და დიდი ტკივილის ატანა მომიხდა ბოლო თვეებში, რათა უიმბლდონისთვის მოვმზადებულიყავი. ძალიან კარგია აქ ყოფნა, მაგრამ ეს ჩემი ბოლო უიმბლდონია. მერე კიდევ აშშ-ის ღია პირველობაზე გამოვალ და საბოლოოდ წავალ" — განაცხადა 36 წლის ამერიკელმა.

შეგახსენებთ, რომ აგასი ჯერჯერობით ბოლო ჩოგბურთელია, რომელმაც კარიერული „დიდი სლემის" შეგროვება მოახერხა. მას თითოჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი (1992) და „როლან გაროსი" (1999), აშშ-ის ღია პირველობაზე 2-ჯერ უყოჩაღია (1994, 1999), ხოლო ავსტრალიის ღია პირველობა, საერთოდაც, ოთხჯერ (1995, 2000, 2002, 2005) დაუმთავრებია ტრიუმფატორის რანგში.

**ბაჩა ლომაშვილი**



# რუსქალთურო

## კიდევ კარგი, ნამგალსაც არ ისვრიან



ტატიანა ლისენკომ რეკორდი დაიბრუნა

„თუ კაცს შეუძლია ამის გაკეთება, არ მესმის, რატომ ვერ უნდა შეძლოს ეს ქალმა? ოთხმოცი მეტრი არ არის ის მანძილი, რომელსაც ქალის ყოვლისშემძლე მკლავი ვერ გასწვდება" — ეს სიტყვები 96-კილოგრამიან და 183-სანტიმეტრიან კუნთმაგარ რუს ტატიანა ლისენკოს ეკუთვნის, ვინც მოსკოვში, მსოფლიოს რეკორდსქალი შეიქნა. ლისენკო უროს მტყორცნელია და მოსკოვში ძმები ზნამენსკების მემორიალურ ტურნირზე, ლითონის სფერო 77,41 მეტრზე გაისროლა. აქამდელი რეკორდი ასევე რუს გულფია ხანაფაევას ეკუთვნოდა (77,26 მეტრი), რომელმაც ეს რეკორდი თავის მხრივ, ლისენკოს ამ ცოტა ხნის წინ ჩამოართვა.

ახლა ტატიანა ლისენკომ რეკორდი დაიბრუნა და მსოფლიოს უძლიერესი ბირთვის მკვრელი ქალის სახელიც დაიგდო. ისე, სააგენტოები მიანიშნებენ, რომ ლისენკო გასათხოვარია.

ძმები ზნამენსკების მემორიალზე გამოსარჩევი სხვაც ბევრი მოხდა.

უმაგრესი და ღვთისმოშიში ჯონათან ედვარდის მემკვიდრედ გამოცხადებული შვედი კრისტიან ოლსენი სამხტომში 17,46 მეტრს გადაახტა და მემორიალის მომგები შეიქნა. რუსმა ელენა სობოლევამ 800 მეტრი 1.57,28 წუთში გაირბინა და უკან ლამის მთელი ევროპა მოიტოვა, ხოლო სერბი ბიანკა ვლაშიჩი სიმაღლეში 2,02 მეტრს გადაახტა. რუსი ლუდმილა კოლჩანოვა კი სიგრძეში 7,10 მეტრზე გადახტა.

ყველა ეს შედეგი ჯერჯერობით წლის საუკეთესო მაჩვენებელია.

**ბაჩო სვანიძე**



# ბლუზი: ასრულებს ერიკ ჯონსონი

**კვირას** გამთენიისას კანადურ ვანკუვერში დრაფტი ჩატარდა და ნჰლ-ის კლუბებმა ახალგაზრდა მოთამაშეებზე უფლებები გადაინაწილეს. ზედიზედ მეორე დრაფტია, უპირატესობა ჩრდილოამერიკელებს ენიჭებათ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ პირველ ხუთეულში მხოლოდ ერთი ევროპელი აღმოჩნდა.

პირველი ნომრის არჩევის უფლება სენტ ლუისს ერგო და „ბლუზმენებმაც" თავისი არჩევანი 18 წლის ამერიკელ მცველ ერიკ ჯონსონზე შეაჩერეს. როგორც ჩანს, სენტ ლუისი ჯონსონში შარშან გუნდიდან წასული კრის პრონგერის შემცვლელს ხედავს.

„კაროლინაში" ამ სეზონში გაბრწყინებული ერიკ სტაალის უმცროსი ძმა, ჯორდანი მეორე ნომრად „პიტსბურგმა" აირჩია. „პინგვინები" ახალგაზრდა ტალანტებს აგროვებენ. სიდნი კროსბის წლეულს, ალბათ, ევგენი მალკინიც დაემატება. ისე, არც უმცროსი სტაალი შეირცხვენს თავს.

მესამე ნომერი კანადელი ცენტრი ჯონათან ტოუსი „ჩიკაგომ" აირჩია.

„ვაშინგტონის" რჩეული წლის საუკეთესო ახალბედა ალექსანდრ ოვეჩკინმა გამოაცხადა — შვედი ნიკლას ბექსტრიომი, მეოთხე ნომერი.

მეხუთე ნომრად კი დრაფტამდე პირველ ნომრობის უმთავრესი კანდიდატი, ამერიკელთა მიერ უკვე მომავალ ფილ ესპოზიტოდ შერაცხული ფილ კესელი გავიდა. ის „ბოსტონმა" დაისაკუთრა.

რუსთაგან საუკეთესო სემიონ ვარლამოვი აღმოჩნდა. ის 23-ე ნომრად ვაშინგტონს ერგო.

**ბაჩა ლომაშვილი**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
ნათელა ხოშტარია-გურასაშვილს ძმის
**არჩილ ხოშტარიას**
გარდაცვალების გამო

ძიუდო

# ბრინჯაოს ჭაბუკები

**უნგრეთის** ქალაქ მოსკოიჩში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ ძიუდოისტებს შორის. საქართველოს ნაკრები ტატამზე ქალთა და ვაჟთა გუნდებით გავიდა, თუმც კვარცხლბეკს როგორც მოსალოდნელი იყო, მხოლოდ ვაჟებმა უწიეს.

გურამ მოდებაძის და ჯემალ ნათელაშვილის შეგირდებმა რვა წონითი კატეგორიიდან ოთხში მედალი მოიპოვეს, მაგრამ ფინალში გასვლა ვერც ერთმა ვერ შეძლო. პირველი ბრინჯაო 55 კილოგრამში მოჭიდავე პაატა მერებიშვილმა აიღო სამდღიანი ტურნირის პირველსავე დღეს. მესამე დღეს კი მისი შედეგი ვალერი ლიპარტელიანმა (81 კგ), სანდრო თევდორაშვილმა (90 კგ) და ლევან მუქერიამაც (+90 კგ) გაიმეორეს.

რაგბი

21-წლამდელთა მსოფლიოს თასი. საფრანგეთი

## საქართველო 9:12 იტალია

# ბოლოს მაინც ბოლო

**გუშინ** 21-წლამდელთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა ბოლო მატჩიც წააგო და თორმეტგუნდა ელიტარულ ტურნირზე ბოლო ადგილი დაიკავა.

„ბიჭების თამაშით კმაყოფილები ვართ, რაც შეეძლოთ, იმაზე მეტიც გააკეთეს. თავი არ დაუზოგავთ და ბოლომდე იბრძოლეს. მსაჯმა გასაქანი არ მოგვცა. საკმარისი იყო იტალიელთა ნახევარზე გადავსულიყავით, რომ უწყინარ სიტუაციაშიც კი ჩვენ გვაჯარიმებდა. ერთი სიტყვით, ბურთის ფლობის უფლებას არ გვაძლევდა და თავს ზემოთ ძალა აღარ იყო. ამის შესახებ ადგილობრივ გაზეთებსაც ვუთხარი ინტერვიუში" — გვითხრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მენეჯერმა ზურაბ ზოიძემ.

მოტორბოლა

## მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვე ეტაპი

### ჰოლანდიის დიდი პრიზი. ასენი— 4,555 კმ

**მოტო გრან პრი — 118,4 კმ**

1 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — 42 წთ; 27,4
2 სინი ნაკანო (იაპონია, კავასაკი) — ჩამორჩა 4,9
3 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — 7,5

**საერთო ჩათვლა**

1 ჰეიდენი 144 ქულა; 2 პედროსა 102; 3 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 100; 3 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) 98; 4 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა) 98

**250 სმ³— 108,7 კმ**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 40 წთ; 30,8
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) — ჩამორჩა 8,1
3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) — 8,2

**საერთო ჩათვლა**

1 დოვიზიოსო 149 ქულა; 2 ლორენცო 133; 3 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 99; 4 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 92; 5 რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) 91; 6 დე ანჯელისი 91

**125 სმ³— 104,0 კმ**

1 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — 38 წთ; 51,4
2 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — ჩამორჩა 0,1
3 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — 0,2

**საერთო ჩათვლა**

1 ბატისტა 160 ქულა; 2 კალიო 113; 3 გადეა 103; 4 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 97; მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 96

ავტორბოლა

## ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცხრე ეტაპი




AFP მონრეალი

*ფერნანდო ალონსომ აკრიფა და რა აკრიფა. მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა და მიმდინარე გათამაშების უპირობო ლიდერმა მონრეალში, ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე მთელი სარბოლო უიქენდი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და მეტოქეებს იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვა.*

*ზედიზედ მეხუთე პოული, ზედიზედ მეოთხე მოგება, 9 რბოლაში 6 პირველი და 3 მეორე ადგილი, შესაძლებელი 90-დან 84 ქულა — ნანდოს დამნევი აშკარად ალარავინაა და დიდი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რენოს" ესპანელი პილოტი ზედიზედ მეორედ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.*

| F1 | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ. ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო რენო, ესპანეთი | 10 | 8 | 10 | 8 | ■ 8 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | | | | | | | | | | 84 |
| 2 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | ■ 8 | 3 | – | ■ 10 | 10 | 8 | 4 | 8 | 8 | | | | | | | | | | 59 |
| 3 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | – | 8 | 4 | 5 | 4 | – | 6 | 6 | | | | | | | | | | 39 |
| 4 ფიზიკელა რენო, იტალია | – | ■ 10 | 4 | 1 | 3 | 6 | 3 | 5 | 5 | | | | | | | | | | 37 |
| 5 მასა ფერარი, ბრაზილია | – | 4 | – | 5 | 6 | 5 | – | 4 | 4 | | | | | | | | | | 28 |
| 6 მონტოია მაკლარენი, კოლუმბია | 4 | 5 | – | 6 | – | – | 8 | 3 | – | | | | | | | | | | 26 |
| 7 ბატონი ჰონდა, დ. ბრიტანეთი | 5 | 6 | ■ – | 2 | – | 3 | – | – | – | | | | | | | | | | 16 |
| 8 ბარიკელო ჰონდა, ბრაზილია | – | – | 2 | – | 4 | 2 | 5 | – | – | | | | | | | | | | 13 |
| 9 ჰაიდფელდი BMW ზაუბერი, გერმანია | – | – | 5 | – | – | 1 | 2 | 2 | 2 | | | | | | | | | | 12 |
| 10 რ. შუმახერი ტოიოტა, გერმანია | – | 1 | 6 | – | – | – | 1 | – | – | | | | | | | | | | 8 |

*კულჰარდი — 8, ვილნევი — 7, ვებერი — 6; როსბერგი — 4, ტრული — 3, კლიენი — 1 ქულა*

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** *რენო — 121; ფერარი — 87; მაკლარენი — 65; ჰონდა — 29; BMW ზაუბერი — 19; ტოიოტა — 11, უილიამსი — 10, რედ ბული — 9 ქულა*

### რბოლის შედეგები

**კანადის დიდი პრიზი**
**25 ივნისი. მონრეალი**
დისტანცია 70 წრე — 305,270 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | *ალონსო* (რენო) | 1:34.37,3 (193,6 კმ/სთ) |
| 2. | (5) | *მ.შუმახერი* (ფერარი) | ჩამორჩა 2,1 |
| 3. | (3) | *რაიკონენი* (მაკლარენი) | 8,8 |
| 4. | (2) | *ფიზიკელა* (რენო) | 15,7 |
| 5. | (10) | *მასა* (ფერარი) | 25,2 |
| 6. | (4) | *ტრული* (ტოიოტა) | 1 წრით |
| 7. | (13) | *ჰაიდფელდი* (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. | (16) | *კულჰარდი* (რედ ბული) | 1 წრით |
| 9 | (8) | *ბატონი* (ჰონდა) | 1 წრით |
| 10. | (18) | *სპიდი* (ტორო როსო) | 1 წრით |
| 11. | (12) | *კლიენი* (რედ ბული) | 1 წრით |
| 12. | (17) | *ვებერი* (უილიამსი) | 1 წრით |
| 13. | (15) | *ლიუცი* (ტორო როსო) | 2 წრით |
| 14. | (19) | *მონტეირო* (MF 1) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

(14) *რ.შუმახერი* (ტოიოტა)
(7) *მონტოია* (მაკლარენი)
(21) *სატო* (სუპერ აგური)
(20) *ალბერსი* (MF 1)
(22) *მონტანი* (სუპერ აგური)
(11) *ვილნევი* (BMW-ზაუბერი)
(6) *როსბერგი* (უილიამსი)
(9) *ბარიკელო* (ჰონდა)

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

**პოული**

ალონსო — 1.14,942 (209,49 კმ/სთ)

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge